**საკრედიტო რისკი.** ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შესრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს. ჯგუფის

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)**  
**2025 წლის 31 დეკემბერი**  
**(ქართული ლარი)**

---

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი ჯგუფის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელის, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

**ზღვრები.** ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტისა და დარგის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების დეტალური მონიტორინგი ხორციელდება და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ ანალიზსა და დამტკიცებას. იმისათვის, რათა განხორციელდეს საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მონიტორინგი, რეგულარულად კეთდება ანგარიშები, რომლებიც დაფუძნებულია სტრუქტურირებულ ანალიზზე მომხმარებლის ფინანსური წარმადობის თვალსაზრისით. უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებელთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მოეხსენება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და ყურადღებას აქცევს ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

**საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.** 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია არ ეკისრება.

**საბაზრო რისკი.** ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ჯგუფისა და კომპანიის სავალუტო რისკის შემოქმედება 2025 და 2024 საანგარიშგებო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

USD		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	735	372
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	32,624,994	34,257,836
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>(32,624,259)</b>	<b>(34,257,464)</b>
EUR		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,052	395
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	16,684,044	13,299,365
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>(16,681,992)</b>	<b>(13,298,970)</b>

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძობელობას სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, რომლებიც გამოყენებულია ბალანსის თარიღისთვის, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი რჩება:

	31 December 2025	31 December 2024
USD გამყარდა 20%-ით	(6,524,852)	(6,851,493)
USD გაუფასურდა 20%-ით	6,524,852	6,851,493
EUR გამყარდა 20%-ით	(3,336,398)	(2,659,794)
EUR გაუფასურდა 20%-ით	3,336,398	2,659,794

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონის მერყეობის ეფექტი.

ცხრილში შეჯამებულია ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილი ერთიანად წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობებს საბალანსო ღირებულებებით, რაც დალაგებულია სახელმეკრულებო პროცენტის გადაფასებისა და გადახდის ვადის გასვლის თარიღებს შორის უადრესით.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

<i>ქართული ლარი</i>	<b>1 წელზე ნაკლები</b>	<b>1-5 წელი</b>	<b>5 წელზე მეტი</b>	<b>სულ</b>
<b>31 დეკემბერი 2025</b>				
ფინანსური აქტივები	624	-	-	624
ფინანსური ვალდებულებები	(4,639,987)	(25,003,533)	(28,034,862)	(57,678,382)
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(4,639,363)</b>	<b>(25,003,533)</b>	<b>(28,034,862)</b>	<b>(57,677,758)</b>
<b>31 December 2024</b>				
ფინანსური აქტივები	5,474	-	-	5,474
ფინანსური ვალდებულებები	(29,518,645)	(5,958,760)	(22,673,524)	(58,150,929)
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(29,513,171)</b>	<b>(5,958,760)</b>	<b>(22,673,524)</b>	<b>(58,145,455)</b>

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს აღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც დავალიანების თანხა არ არის დაფარული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<i>ქართული ლარი</i>	<b>12 თვემდე</b>	<b>1-5 წელი</b>	<b>5 წელზე მეტი</b>	<b>სულ</b>	<b>საბალანსო ღირებულება</b>
<b>ვალდებულებები</b>					
აღებული სესხები	7,941,157	53,092,357	9,526,191	70,559,705	57,030,829
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	540,692			540,692	540,692
<b>სულ მომავალი გადახდები თანხის ძირისა და პროცენტის გადახდის ჩათვლით</b>	<b>8,481,849</b>	<b>53,092,357</b>	<b>9,526,191</b>	<b>71,100,397</b>	<b>57,571,521</b>

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<i>ქართული ლარი</i>	<b>12 თვემდე</b>	<b>1-5 წელი</b>	<b>5 წელზე მეტი</b>	<b>სულ</b>	<b>საბალანსო ღირებულება</b>
<b>ვალდებულებები</b>					
აღებული სესხები	35,497,243	24,722,132	8,850,753	69,070,128	57,521,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	134,215			134,215	134,215
<b>სულ მომავალი გადახდები თანხის ძირისა და პროცენტის გადახდის ჩათვლით</b>	<b>35,631,458</b>	<b>24,722,132</b>	<b>8,850,753</b>	<b>69,204,343</b>	<b>57,655,804</b>

**17. კაპიტალის მართვა**

**კაპიტალის მართვა.** კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მას კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის მიერ მართული მთლიანი კაპიტალი, წარმოადგენს საკუთარ კაპიტალს, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და რეგულარულად ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მიმოხილვას.

**18. სამართლიანი ღირებულების შეფასება**

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არა-დაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)**  
**2025 წლის 31 დეკემბერი**  
*(ქართული ლარი)*

3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

<i>ქართული ლარი</i>	2025 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<b>აქტივები</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,055,986	<b>1,055,986</b>
- გაცემული სესხები	-	-	624	<b>624</b>
- ფული და ფულის ეკვივალენტები	687,176	-	-	<b>687,176</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>687,176</b>	<b>-</b>	<b>1,056,610</b>	<b>1,743,786</b>
<b>ვალდებულებები</b>				
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
- ნასესხები სახსრები	-	57,030,804	-	57,030,804
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	540,692	540,692
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>57,030,804</b>	<b>540,692</b>	<b>57,571,496</b>
<b>2024 წ. 31 დეკემბერი</b>				
<i>ქართული ლარი</i>	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<b>აქტივები</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	843,190	<b>843,190</b>
- გაცემული სესხები	-	-	5,474	<b>5,474</b>
- ფული და ფულის ეკვივალენტები	328,497	-	-	<b>328,497</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>328,497</b>	<b>-</b>	<b>848,664</b>	<b>1,177,161</b>
<b>ვალდებულებები</b>				
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
- ნასესხები სახსრები	-	57,502,691	-	<b>57,502,691</b>
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	134,215	<b>134,215</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>57,502,691</b>	<b>134,215</b>	<b>57,636,906</b>

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები..** მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

**19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით**

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისა და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

**20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის პარტნიორებს, კომპანიას ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

მიმდინარე და წინა საანგარიშო პერიოდებში დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

გარიგებები:	2025	2024
<b>დაკავშირებული მხარეები</b>		
შემოსავალი	1,688,552	-
გაყიდვების თვითღირებულება	1,039,992	-
საპროცენტო ხარჯი	735,264	746,656
საიჯარო ხარჯი	67,756	67,577

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

ნაშთები:	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<b>დაკავშირებული მხარეები</b>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	575,810	-
ნასესხები სახსრები	13,115,241	12,719,102
უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	214,286	267,858

### 21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2026 წელს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ თიბისი ბანკისგან მიიღო 500,000 ევროს ოდენობის სესხი, რომელიც უმთავრესად გამოყენებულ იქნა თიბისი ბანკის არსებული სესხის რეფინანსირებისთვის, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო დაუფარავი.

### 22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს.

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## მმართველობითი ანგარიშგება

### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 9 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით – ს/კ 404485188. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N70, ბიზნეს ცენტრი „სითი თაუერი“, მე-17 სართული. კომპანიას ფილიალი არ გააჩნია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მოძიება; ჰიდროელექტროსადგურების პროექტირება და მშენებლობა; განახლებადი ენერჯის ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა; ენერგეტიკული პროექტების განვითარება და შემდგომი რეალიზაცია; მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა; ტურბინებისა და გენერატორების მონტაჟი; ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაცია; ელექტროენერჯის წარმოება, რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტი.

2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. 2016 წლის 29 დეკემბერს, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების – „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ – მშენებლობის უფლება. საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე კომპანიას 49 წლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა პროექტის განვითარებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები. აღნაგობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობაა, რომ 49 წლის ვადის გასვლის შემდეგ მიწა და მასზე არსებული ნებისმიერი ნაგებობა სახელმწიფოს დაუბრუნდება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები ექსპლუატაციაში შევიდა.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან დამატებით გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა მესამე ჰიდროელექტროსადგურის – „საშუალა ჰესი“ – მშენებლობის უფლება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულებულია და წარმატებით ოპერირებს.

საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით კომპანიას საკუთარი აქციები არ გამოუშვია. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩონატაურის მუნიციპალიტეტში.

2025 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 37 თანამშრომელი.

### 2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

### 3. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ

კომპანიამ 2023 წლის 22 ივნისს გამოუშვა ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი – 8.5%-ს. ობლიგაციების დაფარვის თარიღია 22.06.2025. ობლიგაციების საბოლოო მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10,000,000 აშშ დოლარით. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს.

კომპანიამ 2025 წლის 23 ივნისს დამატებით გამოუშვა „მწვანე ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა ასევე შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი – 8.5%-ს. ობლიგაციების დაფარვის თარიღია 23.06.2027. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს. გამოშვებული მწვანე ობლიგაციების მთლიანი მოცულობა მოხმარდა არსებული ობლიგაციების რეფინანსირებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ობლიგაციების განთავსებული მოცულობა შეადგენდა 10,000,000 აშშ დოლარს.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

#### 4. ინფორმაცია მწვანე ფინანსირების ჩარჩოს შესახებ

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 100%-იანმა დამფუძნებელმა – შპს „გრინ ენერჯი ჰოლდინგმა“, თიბისი კაპიტალისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, წარმატებით მოიპოვა მწვანე დაფინანსების ჩარჩოზე მეორე მხარის მოსაზრება.

აღნიშნული ადასტურებს, რომ კომპანიამ წარმატებით შეიმუშავა მწვანე დაფინანსების ჩარჩო, ხოლო დამოუკიდებელი საერთაშორისო შემფასებლის – Sustainalytics-ის – მიერ გაცემული დადებითი შეფასება ადასტურებს, რომ კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი განახლებადი ენერჯის პროექტები სრულ შესაბამისობაშია მწვანე დაფინანსების საერთაშორისო პრინციპებთან. კომპანია გეგმავს ახალი ემისიის განთავსებას, რომლის ფარგლებშიც მოზიდული სახსრები მოხმარდება მწვანე ინვესტიციების დაფინანსებას.

„მწვანე პროექტებისთვის“ მოზიდული ინვესტიციებისა და ფულადი სახსრების ეფექტიანი განაწილების მიზნით, 2024 წლის 30 დეკემბერს შპს „გრინ ენერჯი ჰოლდინგის“ (ს/კ 405734022) სამეთვალყურეო საბჭომ, დოკუმენტით სახელწოდებით „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2, დამტკიცებული ორგანიზაციის 2024 წლის მწვანე დაფინანსების ჩარჩო დოკუმენტის (Green Financing Framework, December 2024) ფარგლებში“, შექმნა მწვანე ობლიგაციების კომიტეტი და დაამტკიცა მისი დებულება.

#### 5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი ამოცანებია არსებული გენერაციის ობიექტების ეფექტიანი ექსპლუატაცია და მართვა; ელექტრომექანიკური მოწყობილობების მუდმივი მონიტორინგი; საიმედოობის მაქსიმალური უზრუნველყოფა; წარმოებული ელექტროენერჯის მაქსიმალურად ხელსაყრელ ფასად რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანიას უკვე გააჩნია ელექტროენერჯის ექსპორტის პრაქტიკული გამოცდილება. კომპანიის სამომავლო გეგმები ასევე მოიცავს ახალი ენერჯეტიკული პროექტების მოძიებასა და განვითარებას.

2024 წლის 19 მარტს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ხელშეკრულება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ მიიღო ექსკლუზიური უფლება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მომზადებისა და შემდგომში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების მიზნით. 2025 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ შპს „სურები ჰესთან“ (ს/კ 405771151) გააფორმა შეთანხმება №01-01092025 უფლება-ვალდებულებათა გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც პროექტი გადაეცა შპს „სურები ჰესს“ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, კომპანიის მიერ მოძიებული პროექტების ფარგლებში, საინვესტიციო წინადადება „ნიალა ჰესზე“ წარდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, თუმცა საქართველოს მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ასევე შედის მწვანე დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში მოზიდული სახსრებით მწვანე ინვესტიციების განხორციელება.

#### 6. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა სხვადასხვა საპროექტო და კვლევითი ორგანიზაციები. შესწავლილი იქნა პროექტების განთავსების ტერიტორიის სეისმური მდგომარეობა; გეოლოგიური და გეოტექნიკური გარემო; ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები; ფლორა და ფაუნა; სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები. მომზადდა შესაბამისი კვლევითი ანგარიშები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და დეტალური დიზაინი, რომლის მომზადებისას გამოყენებული იქნა საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკა. ასევე განისაზღვრა გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. მიღებული შედეგების საფუძველზე პროექტები შეფასდა, როგორც თანამედროვე საინჟინრო პრაქტიკის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სრულყოფილი გათვალისწინებით.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

---

#### **7. გარემოსდაცვითი საკითხები**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ სამშენებლო და საოპერაციო პროცესში მოქმედებს საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია მუდმივად უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მოთხოვნების შესრულებას; შესაბამისი გარემოსდაცვითი პროცედურების დაცვას; პერიოდული კვლევების ჩატარებას; სამინისტროსთვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენას.

#### **8. მთავარი რისკები და გაურკვევლობები**

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და ასევე არ ახორციელებს ოფციონების გამოშვებას. ქვემოთ აღწერილია ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომელთა შემოქმედებასაც კომპანია ექვემდებარება.

##### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადების ან სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკს საბაზრო ფასების მერყეობის შედეგად. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საბაზრო რისკის შედეგად დაზიანებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში შედის პროცენტული სესხები და ბანკში განთავსებული ფულის ნაშთები.

##### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი იმის რისკია, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს მასზე მოქმედი გაცვლითი კურსების ცვლილება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ოპერაციებს, რის გამოც ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს გაცვლითი კურსის ცვლილება. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის.

##### **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

კომპანიას აქვს როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, გარდა ზემოაღნიშნული სავალუტო რისკისა, მასზე აგრეთვე მოქმედებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი. ფიქსირებული განაკვეთი ერიცხება მხოლოდ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. მენეჯმენტი აღნიშნულ რისკს მართავს ფიქსირებული განაკვეთის სესხების წილის ზრდითა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებით.

##### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რაც კომპანიას ფინანსურ ზარალს მიაყენებს. კომპანია ექვემდებარება რისკს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნების ნაწილში, ისე ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი საბანკო ნაშთების ნაწილში.

ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით, ხოლო თანხები განთავსებულია მხოლოდ სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის განსაზღვრის გამარტივებულ მიდგომას. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალდებულებების შესრულების სახელშეკრულებო ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო დღე. შესაბამისად, კომპანია პერიოდულად აკონტროლებს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთს და რეზერვის განსაზღვრისას ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განხორციელებულ სავაჭრო მოთხოვნების ამოღებებს.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

---

#### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს მის მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად აქვს მოთხოვნა ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ყოველთვიურ ფულადი ნაკადების ბიუჯეტს და ამზადებს ფულადი ნაკადების პროგნოზებს. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და შექმნის მიზნით იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

#### **9. კორპორაციული მართვა**

კომპანიის ორგანოებია: პარტნიორთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო (ქვეკომიტეტით — აუდიტის კომიტეტი); და მმართველი ორგანო — დირექტორი.

#### **დირექტორი**

დირექტორს აქვს კომპანიის მართვისა და წარმომადგენლობის უფლება და იგი მოქმედებს როგორც კომპანიის ერთპიროვნული წარმომადგენელი. დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს კომპანიის სახელით და წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან ურთიერთობებში. დირექტორის მართვის უფლება მოიცავს კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

#### **საერთო კრება**

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორცაა: ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია; ვალდებულებების, მათ შორის სასესხო ვალდებულებების აღება; კრედიტის მიღება ან გაცემა; ვალდებულებების უზრუნველყოფა; ორგანიზაციის ქონების გასხვისება, დატვირთვა ან დაგირავება; დივიდენდების განაწილება; წლიური აუდიტის შედეგების დამტკიცება; აგრეთვე კომპანიის დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე დირექტორისა და/ან პარტნიორის მიმართ მინიჭებული დამატებითი უფლებების განხორციელება.

#### **სამეთვალყურეო საბჭო**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აუდიტის კომიტეტის შექმნისა და მისი შემადგენლობის შესახებ. პარტნიორთა 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა კომპანიის წესდება და ხელახლა დაკომპლექტდა სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, განცხადების რეგისტრაციის ნომერი / მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024).

#### **დღეის მდგომარეობით:**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე / წევრი: მინდია საბანაძე, 01023002458  
თავმჯდომარის მოადგილე / წევრი: გიორგი მთიბელაშვილი, 01017013930 (დამოუკიდებელი წევრი)  
წევრი: დავით ხაჩიძე, 01024024429  
წევრი: ლევან მესხელი, 01008030756  
წევრი: ბექა აბუთიძე, 01024078750  
წევრი: ირაკლი ჭილაძე, 01008021270 (დამოუკიდებელი წევრი)

#### **სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.**

აუდიტის კომიტეტის წევრები:  
თავმჯდომარე: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)  
ბექა აბუთიძე, 01024078750  
ირაკლი ჭილაძე, 01008021270

კორპორაციული მართვის დეტალური ანალიზი მოცემულია მე-9 თავში.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04–ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება

### შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ შესაბამისობის ანგარიში საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ შესაბამისობის ანგარიში „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ (დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით) (შემდგომში — „კორპორაციული მართვის კოდექსი“) — შემდგომში „შესაბამისობის ანგარიში“ — მომზადებულია კორპორაციული მართვის კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიში აღწერს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შესაბამისობის მდგომარეობას აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე წარმოდგენილია ალტერნატიული მიდგომა — კერძოდ, იმ ღონისძიებების აღწერა, რომლებიც კომპანიამ განახორციელა ან გეგმავს განახორციელოს კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

### კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტები

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2) დამტკიცდა „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“, რომელმაც განსაზღვრა ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები და ანგარიშგების მოთხოვნები. შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო წარმოადგენს კორპორაციული მართვისა და კონტროლის ერთიან ჩარჩოს, რომელიც მოიცავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, საკითხების განხილვისა და დამტკიცების წესს, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღებისა და მონიტორინგის პროცედურებს. სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №3) დამტკიცდა დირექტორის მიერ წარმოდგენილი განახლებული „ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერჯეტიკის სექტორში“; აგრეთვე დამტკიცდა შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს განახლებული რედაქცია და კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.

შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, ორგანიზაციის წესდებასთან ერთად, უზრუნველყოფს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, გამჭვირვალობის ხარისხს, რაც თავის მხრივ საფუძველს ქმნის ინვესტორთა ნდობის გასაძლიერებლად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ორგანიზაციის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოსა და მისი ქვეთავების — მათ შორის კომპანიის ფინანსური და სხვა ინფორმაციის — ხელმისაწვდომობა ორგანიზაციის ვებგვერდის ან სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო სავალდებულო მმართველობითი დოკუმენტია ორგანიზაციაში ნებისმიერი თანამდებობის მქონე პირისთვის, მმართველი ორგანოების წევრებისა და თანამშრომლებისთვის. მისი ხელმისაწვდომობა ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია დირექტორის მიერ. შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსს; მისგან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, სახელმძღვანელო შეიცავს შესაბამის მითითებას, სადაც აღნიშნულია განსხვავებული ნორმის ორგანიზაციის წესდებასა და სხვა კორპორაციულ დოკუმენტებში ასახვის გეგმა და თარიღი.

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის სისტემის „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 172/04 ბრძანებით; შემდგომში — „კორპორაციული მართვის კოდექსი“), შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია (შემდგომში — „წესდების ახალი რედაქცია“; თან ერთვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერს, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი / მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024). წესდების ახალ რედაქციაში ასახულია ორგანიზაციის „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული ყველა ის ცვლილება, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი იყო „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

### შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის ზოგად დებულებებთან შესაბამისობის შესახებ

#### სამეთვალყურეო საბჭო

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო (მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B22134264, მომზადებულია 26/10/2022). პარტნიორთა 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭო ხელახლა დაკომპლექტდა (მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B24166902, მომზადებულია 31/12/2024).

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სხვადასხვა კორპორაციული მართვის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება დაევალა ორგანიზაციის დირექტორს.

2022 წლის 24 ოქტომბერს პარტნიორთა კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის წესდების ახალი რედაქცია, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა კორპორაციული მართვის საკითხები, გამიჯნა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციები და დაადგინა მმართველი ორგანოების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. შემდგომში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის მიზნით, ორგანიზაციამ 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიიღო წესდების ახალი რედაქცია, რომელიც ეფუძნებოდა 2022 წლის 22 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის №2 ოქმს.

ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი II“. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი „ქცევისა და ეთიკის კოდექსის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. იგი ადგენს ქცევის მაღალ სტანდარტებს და წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

ორგანიზაციამ შეიმუშავა ენერგეტიკის სექტორში მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებულია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი III“. აღნიშნული ნაწილი განსაზღვრავს ორგანიზაციის ხედვას, პრიორიტეტებს, გამოწვევებსა და გადაწყვეტებს, როგორც საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი სუბიექტის. სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

ორგანიზაციამ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის (ESG) სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებულია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი IV“. იგი მოიცავს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით დონისძიებებს, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისკენ.

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურა. განისაზღვრა სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები, შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების ეფექტიანი იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, აგრეთვე ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული საკითხები მოცემულია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი IV“.

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და ანგარიშვალდებულება დეტალურადაა განსაზღვრული ორგანიზაციის წესდებაში. აუდიტის კომიტეტის დებულება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მოიცავს კომიტეტის საქმიანობის სფეროებსა და პროცედურებს, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ანგარიშგების წესს.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (ოქმი №2), რომლითაც დამტკიცდა შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა:

- მმართველი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებაზე, პრობლემური საკითხების შესახებ მიმართონ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დაეკისროს ორგანიზაციის დირექტორს;
- ორგანიზაციის წესდების, ეთიკის კოდექსისა და კომიტეტების დებულებების პერიოდული განახლების ვალდებულებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კორპორაციული მართვის სისტემის შესაბამისობა კორპორაციული მართვის კოდექსთან.

სამეთვალყურეო საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება დაევა ორგანიზაციის დირექტორს. ამის საფუძველზე, 2026 წლის 21 აპრილს სამეთვალყურეო საბჭომ (ოქმი №3) დაამტკიცა მდგრადი განვითარების განახლებული სტრატეგია, შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს განახლებული რედაქცია და კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.

### **შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ**

ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოდგენილია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი II“. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი „ქვევისა და ეთიკის კოდექსის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ადგენს ქვევის მაღალ სტანდარტებს და წარმოადგენს თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

ეთიკის კოდექსი არეგულირებს თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების ქვევის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე კორუფციის, ფულის გათეთრებისა და სხვა უკანონო ქმედებების პრევენციის მექანიზმებს. იგი ეფუძნება კეთილსინდისიერების, ორგანიზაციის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების, შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მექანიზმებს ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვით (მათ შორის „ეფექტიანი ანონიმური მხილების სისტემის“ მეშვეობით), სისტემის გამჭვირვალობასა და დროული რეაგირების მექანიზმებს.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში შეიქმნა იურიდიული დეპარტამენტი, რომლის მიზანია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული სისტემის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს ენერგეტიკის სექტორში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობს ეთიკის კოდექსის განვითარებასა და მის სათანადო განხორციელებას საწარმოში.

### **შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო და დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B22134264, მომზადებულია 26/10/2022).

შემდგომში, 2024 წლის 27 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B24166902, მომზადებულია 31/12/2024). წესდების ახალმა რედაქციამ დააზუსტა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

წესდების მე-6 მუხლის თანახმად:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან, კომპანიის საქმეები წარმართონ კეთილსინდისიერად, იმგვარი ზრუნვით, როგორსაც მსგავს პოზიციასა და გარემოებებში მყოფი გონივრული და წინდახედული პირი გამოიჩენდა, და იმ რწმენით, რომ მათი ქმედებები შეესაბამება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს.
- პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეკრძალებათ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის პირადი სარგებლისთვის გამოყენება, თუ აღნიშნული ინფორმაცია მათთვის ცნობილი გახდა მოვალეობების შესრულების ან ოფიციალური სტატუსის საფუძველზე.

წესდების მე-7 მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია:

- რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების დამტკიცება და ზედამხედველობა;
- ინფორმაციის გამჭვირვების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ორგანიზაციის ბიზნესპოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- ფინანსური დაგეგმვისა და ანგარიშგების ზოგადი სტანდარტების დამტკიცება;
- კომპანიის საბუღალტრო საქმიანობის განხილვა;
- ფინანსური დოკუმენტაციისა და აქტივების, მათ შორის ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების, ზედამხედველობა და შემოწმება საბჭოს ცალკეული წევრების ან დანიშნული ექსპერტების მეშვეობით;
- საერთო კრებისთვის წლიურ ბიუჯეტსა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა;
- კომპანიის ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;
- სასესიო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; ემისიის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება
- აუდიტის კომიტეტის შექმნა ან გაუქმება, მისი წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა ან გათავისუფლება, კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, დავალებების მინიჭება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა

წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია ორგანიზაციის „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი V –ში“. წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებთან ერთად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან:

- საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრაზე, მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებაზე, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობა;
- ეთიკური პრინციპების განსაზღვრაზე;
- ორგანიზაციის მართვის სისტემის „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უწყვეტ მონიტორინგზე;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე;
- ანაზღაურების სისტემის სათანადო ფუნქციონირების მონიტორინგზე.

აღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, სხდომები გამართოს არანაკლებ კვარტალში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — უფრო ხშირად. აღნიშნული ცვლილება ასახულია წესდების განახლებულ რედაქციაში, „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

#### სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება

ამჟამად ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია ფართო მმართველობითი გამოცდილების, შესაბამისი კვალიფიკაციისა და საწარმოს ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების მქონე პირებით.

„კორპორაციული მართვის კოდექსის“ თანახმად, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვეღარ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს ან აღარ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის მოითხოვოს საბჭოს წევრის ჩანაცვლება, იმ პირობით, რომ ერთდროულად არ შეიცვლება საბჭოს წევრთა ერთ მესამედზე მეტი, და აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს. აღნიშნული მოთხოვნა ასახულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ V თავში და ორგანიზაციის წესდებაში, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი (6) წევრისაგან. მათგან ორი დამოუკიდებელი წევრია, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, მაღალი კვალიფიკაცია და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძლიერი უნარები. დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობის ზრდასა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებული ცვლილებები ასახულია ორგანიზაციის წესდებაში „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

„კორპორაციული მართვის კოდექსის“ „კარი –V“–ში და ორგანიზაციის წესდება განსაზღვრავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპანიის ადმინისტრაციული ორგანოს წევრი. აღნიშნული დებულება სრულად შეესაბამება „კორპორაციული მართვის კოდექსს“, რომლის თანახმადაც „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპანიის დირექტორი“.

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ V კარის თანახმად, საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს ისეთი ფორმირება, რომელიც შეინარჩუნებს აზრთა მრავალფეროვნების ბალანსს. ეს მოიცავს სხვადასხვა სქესის, უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე წევრთა წარმომადგენლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს წევრთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო დროის, რესურსების, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების არსებობა. სამეთვალყურეო საბჭოში გენდერული ბალანსის მოთხოვნების დაკმაყოფილება დაგეგმილია მომავალში. საბჭოს წევრთა შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფი პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი VI–ში“

ორგანიზაციის წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის წევრებს შორის ნდობის, კოლეგიალური ურთიერთობებისა და ეფექტიანი თანამშრომლობის კოორდინაციაზე.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №2 ოქმით, ახლად დაკომპლექტებულმა სამეთვალყურეო საბჭომ საკუთარი წევრებიდან აირჩია თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოავლენს რეალურ ან პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს, ასეთი ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია და აღმოფხვრა თავმჯდომარის მოადგილის პასუხისმგებლობა ხდება.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ამისა, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ინვესტირებთან დაკავშირებული თავმჯდომარის საბოლოო გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებზე, ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაძლოა საჭიროებდეს დამოუკიდებელი წევრის თანხმობას. აღნიშნული დებულება ასახულია ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში და „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი V –ში“, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

#### ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ „კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიხედვით

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი VII“ განსაზღვრავს ორგანიზაციაში საჭიროებისამებრ კომიტეტების შექმნის ჩარჩოს. შიდა კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფუნქციის მქონე კომიტეტები, მათ შორის — რისკების მართვის, ანაზღაურების, მდგრადი განვითარების და სხვა კომიტეტები.

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“ განსაზღვრავს კომიტეტების შექმნის პროცედურას. კომიტეტის შექმნის ინიცირება ხორციელდება დირექტორის მიერ და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭომ პერიოდულად უნდა უზრუნველყოს კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების როტაცია, რათა ხელი შეეწყოს კომიტეტების საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების დანერგვას.

კომიტეტების მიერ გამართული განხილვებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ უნდა იწარმოებოდეს ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში — კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები ვალდებული არიან რეგულარულად წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია თავიანთი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

კომიტეტები უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, ხოლო საწარმოს ზომიდან გამომდინარე — შესაძლებელია ორი წევრისაგანაც. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი. კომიტეტების სხდომები უნდა უსწრებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომიტეტები ვალდებული არიან შეიკრიბონ წელიწადში სულ მცირე ორჯერ და საჭიროებისამებრ.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება კომიტეტების შექმნის, კომიტეტების დებულებების დამტკიცების, ერთდროული წევრობის მაქსიმუმ ორ კომიტეტამდე შეზღუდვისა და კომიტეტების წევრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ ასახულია ორგანიზაციის წესდებაში, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო, სხვა ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს:

- რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცებასა და ზედამხედველობას;
- ინფორმაციის გამჭვირვების პოლიტიკის განსაზღვრას;
- ორგანიზაციის ბიზნესპოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრას;
- ფინანსური დაგეგმვისა და ანგარიშგების ზოგადი სტანდარტების დამტკიცებას.
- სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტს შორის უზრუნველყოფილია ეფექტიანი კომუნიკაცია და კოორდინაცია, მათ შორის ინფორმაციის გაცვლა, ყველა სახის რისკის — მათ შორის ახლად იდენტიფიცირებული რისკების — განხილვა და საწარმოს რისკების მართვის ჩარჩოში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

სამეთვალყურეო საბჭოს სრული წვდომა აქვს დირექტორთა საბჭოსთან, რისკების მართვისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, აგრეთვე სხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

სამეთვალყურეო საბჭო მხარს უჭერს ორგანიზაციის ანაზღაურების სისტემის ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურების ჩარჩო შეესაბამებოდეს ორგანიზაციის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესმიზნებს, რისკების მართვის სისტემას, ოპერაციულ საქმიანობას, კონტროლის გარემოსა და სამართლებრივ/მარეგულირებელ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი, რაც გათვალისწინებული იქნება საბჭოს ახალი წევრების თითოეული მომავალი შერჩევის პროცესში.

ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭო აფასებს:

- საბჭოს სტრუქტურას, ზომასა და შემადგენლობას;
- აუდიტის კომიტეტის სტრუქტურასა და კოორდინაციას;
- თითოეული წევრის შესაბამისობას სამართლებრივ და შიდა მოთხოვნებთან;
- შიდა მართვის პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტიანობას.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

რისკების კომიტეტის, ანაზღაურების კომიტეტის, კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტის ფუნქციები, მათი შექმნის შემთხვევაში, განსაზღვრულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ VII კარის ქვეთავებში.

### კორპორაციული მართვის კოდექსით აუდიტის კომიტეტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში

სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N1) შეიქმნა აუდიტის კომიტეტი. მისი შემადგენლობა გადაინება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N2). აუდიტის კომიტეტის შექმნის ვალდებულება განისაზღვრა ორგანიზაციის წესდებაში.

ორგანიზაციის წესდება ადგენს აუდიტის კომიტეტის ძირითად ფუნქციებს, რომელთა მიხედვით აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია:

- განსაზღვროს შიდა სააღრიცხვო, ფინანსური ანგარიშგებისა და კონტროლის პროცედურები და ზედამხედველობა გაუწიოს მათთან შესაბამისობას;
- მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სანდოობას;
- უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა;
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა (სადაც გამოიყენება);
- მართოს ურთიერთობები გარე აუდიტორებთან.

წესდების ახალი რედაქციის თანახმად, საწარმოს ზომის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან. მისი თავმჯდომარე არის შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე და კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი დამოუკიდებელი წევრი.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსს. წესდების ახალი რედაქციის მე-9.10 მუხლის თანახმად, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და ერთდროულად არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. აღნიშნული ცვლილება შევიდა ორგანიზაციის წესდებაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

წესდებაში მითითებული დებულებების გარდა, აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები დეტალურადაა გაწერილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ მის დებულებაში. აღნიშნული დებულება სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-9 მუხლს. დებულების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი, სხვა მოვალეობებთან ერთად, პასუხისმგებელია:

- ა) შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრაზე;
- ბ) ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების პროცესების მონიტორინგზე;
- გ) შიდა და გარე აუდიტორებთან მონიტორინგზე და მათთან აქტიურ თანამშრომლობაზე;
- დ) გარე აუდიტორის ეფექტიანობის შეფასებაზე, აუდიტორის კანდიდატებთან დაკავშირებით მოსაზრების გამოხატვაზე და სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს რეკომენდაციების მიწოდებაზე დანიშვნის, ანაზღაურების ან გათავისუფლების შესახებ;
- ე) შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შეფასებაზე;
- ვ) შიდა და გარე აუდიტორებს შორის ადეკვატურობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე;
- ზ) გარე აუდიტორის მიერ მომზადებული რეკომენდაციური წერილების გადახედვაზე და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული მაკორექტირებელი ზომების მონიტორინგზე;
- თ) შიდა აუდიტის მოცულობისა და სიხშირის გადახედვასა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენაზე;
- ი) შიდა აუდიტის ანგარიშების მიღებაზე და ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილ სისუსტეებთან, შესაბამისობებთან ან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით დროული მაკორექტირებელი ქმედებების უზრუნველყოფაზე;
- კ) სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავების მონიტორინგზე;
- ლ) საწარმოს რისკის მართვის საერთო ჩარჩოს და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობისა და სტრუქტურის გადახედვაზე, მათ შორის მესამე მხარის შეფასებებზე ამ საკითხებთან დაკავშირებით.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

#### კორპორაციული მართვის კოდექსით სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების შესახებ შესაბამისობის ანგარიში

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა. სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილდა პასუხისმგებლობები, დადგინდა შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკის ეფექტიანი იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, აგრეთვე ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული წარმოადგენს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „IV კარის“ შემადგენელ ნაწილს.

იმავე ნაწილში მოცემულია „შეფასებისა და თვითშეფასების პროცედურა“. ამ პროცედურის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად აფასებს:

- საბჭოს სტრუქტურას, ზომას და შემადგენლობას;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურასა და კოორდინაციას;
- საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან;
- საბჭოს შიდა მართვის პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტიანობას.

#### კორპორაციული მართვის კოდექსით დირექტორთა საბჭოს და დირექტორთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ შესაბამისობის ანგარიში

ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო არის დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ორგანიზაციას.

სხვა ფუნქციებთან ერთად, დირექტორი ახორციელებს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიებს და, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, შექმნა ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების და რისკის კულტურის მართვის ეფექტიანი სისტემები. დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის მისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხელმძღვანელობის საქმიანობის ეფექტიანი შეფასებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ინფორმირებულია კომპანიის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხებისა და გამოწვევების შესახებ.

დირექტორი ასევე პასუხისმგებელია თანამშრომელთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სათანადო გადანაწილებაზე და კომპანიის ფარგლებში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფი ეფექტიანი მართვის სტრუქტურის შექმნაზე.

დირექტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საწარმოს წესდებით. დირექტორი ფლობს საჭირო გამოცდილებას, კომპეტენციას, რესურსებს, კვალიფიკაციასა და უნარებს. დირექტორის მიმართ გამოყენებადი საკვალიფიკაციო და პროფესიული გამოცდილების მოთხოვნები განსაზღვრულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს VIII კარში.

დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის შიდა საქმიანობაზე. წესდების ახალი რედაქცია ასახავს, რომ დირექტორი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა დირექტორის მიერ უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. აღნიშნული ცვლილებები შევიდა წესდებაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

#### კორპორაციული მართვის კოდექსით სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების ფუნქციების შესახებ შესაბამისობის ანგარიში

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შეუძლიათ მიიღონ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, თავისუფლები გარე მხარეების ფაქტობრივი ან პოტენციური გავლენისგან.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები აღწერილია კორპორაციული მართვის კოდექსის IX კარში.

#### **კორპორაციული მართვის კოდექსით კორპორაციული მდივნის ფუნქციების შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

კორპორაციული მდივნის ფუნქციები დეტალურადაა აღწერილი კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი X“-ში, რომელიც სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

ეს ნაწილი ასევე ადგენს, რომ კორპორაციული მდივნის ფუნქციებს ამჟამად ასრულებს ორგანიზაციის იურისტი, კერძოდ:

- a) საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის კომიტეტების) და დირექტორთა საბჭოს დახმარება მათი საქმიანობის განხორციელებაში;
- b) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს კონსულტირება კორპორაციული დოკუმენტაციისა და პროცედურული საკითხების შესახებ;
- c) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა სხდომის დღის წესრიგის მომზადებასა და გავრცელებაში, სხდომების ორგანიზებასა და ჩატარებაში, შეტყობინებების მიმოქცევაში;
- d) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მოქმედი და ახლადდანიშნული / არჩეული წევრებისთვის საჭირო ტრენინგებისა და საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა;
- e) ყველა კორპორაციული დოკუმენტის, ოქმის და სხვა საჭირო ჩანაწერისა და ინფორმაციის სულ მცირე ექვსი წლის განმავლობაში წარმოება და შენახვა;
- f) კავშირის რგოლის ფუნქციის შესრულება პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;
- g) პარტნიორთა საერთო კრების ორგანიზება, რიგგარეშე კრებების მოწვევა და ყველა საჭირო ვადისა და პროცედურის დაცვის უზრუნველყოფა. იმის უზრუნველყოფა, რომ კრების ოფიციალურად მომწვევემა პირმა მიიღოს სრული ინფორმაცია დღის წესრიგში შესატანად შემოთავაზებული საკითხების შესახებ კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად;
- h) მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციული მართვის შესახებ საკანონმდებლო აქტებთან და საწარმოს კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- i) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებისა და პარტნიორთა საერთო კრებების მდივნის ფუნქციის შესრულება და მათი ოქმების წარმოება.

კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. ამ ფუნქციების შესრულებისას კორპორაციული მდივანი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება, დანიშნოს კორპორაციული მდივანი და განსაზღვროს მისი შრომითი ხელშეკრულების პირობები აისახება წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სამეთვალყურეო საბჭომ დეტალურად განსაზღვრა კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირისთვის საჭირო უფლება-მოვალეობები, ფუნქციები, განათლების მოთხოვნები და კვალიფიკაცია (კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო – კარი X).

კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი არ არის ორგანიზაციის მმართველი ორგანოს წევრი და არ ფლობს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

#### **კორპორაციული მართვის კოდექსით ჯგუფის კორპორაციული მართვის შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციამ დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მპს „ენერჯი თრეიდინგ გრუფი“, რომელშიც ფლობს 55% წილს.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

---

ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები მიიღება მონაწილეთა ხმების 55%-იანი უმრავლესობით, თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოითხოვს უფრო მაღალ ქვორუმს ან ერთსულოვნებას.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი XI“ არეგულირებს შვილობილი კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმებს და სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნებს.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით რისკის მართვის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობის დამტკიცება და ზედამხედველობა შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში. რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც აღწერს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებს, განსაზღვრულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „XII კარი – რისკის მართვის ჩარჩო“.

რისკის მართვის ჩარჩო ასევე დამტკიცებულია ორგანიზაციის შვილობილ კომპანიაში. აღნიშნული ჩარჩოს თანახმად, რისკის შეფასებები და რისკის მართვის პროცესები, შერწყმები და შენაძენები, მნიშვნელოვანი წილების შექმნასთან დაკავშირებული გარიგებები და სხვა არსებითი ცვლილებები წარედგინება მშობელი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს.

შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო სრულად ინფორმირებულია არსებული რისკებისა და საკითხების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ორგანიზაციაზე და/ან მის შვილობილ კომპანიაზე.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად, დირექტორთან და შიდა აუდიტის ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს მნიშვნელოვანი რისკების, საკითხებისა და საოპერაციო საჭიროებების იდენტიფიკაციისა და განხილვის მიზნით.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით შიდა კონტროლისა და აუდიტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

აუდიტის კომიტეტის შექმნა/გაუქმება, აუდიტის კომიტეტის წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა/გათავისუფლება, კომიტეტის ზომის განსაზღვრა, კომიტეტისთვის ამოცანების მინიჭება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

შიდა კონტროლისა და აუდიტის სისტემა აღწერილია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი XII – ში“.

რისკის ეფექტიანი მართვის მიზნით, კომპანიის ფარგლებში დანერგილია მყარი შიდა კონტროლის სისტემები. შესაბამისად:

- შიდა აუდიტს მინიჭებული აქვს სრული წვდომა საწარმოს ინფორმაციაზე, ჩანაწერებზე, ოქმებზე და სხვა მონაცემებზე;
- დირექტორი პასუხისმგებელია აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვასა და განხორციელებაზე.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით ანაზღაურების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, მმართველი ორგანოების ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცება საერთო კრების პასუხისმგებლობაა. აღნიშნული ცვლილება შევიდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციას აქვს დოკუმენტირებული ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს:

- საქმიანობის შესაბამის ინდიკატორებს;
- ანაზღაურების ფორმებსა და კომბინაციებს, მათ შორის ფიქსირებულ და ცვალებად კომპენსაციას;
- ბონუს სისტემის ელემენტებს;
- გადახდის გრაფიკსა და სინშირეს.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

---

ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები წარმოადგენს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV კარის შემადგენელ ნაწილს.

მომზადებულია მმართველი ორგანოს ანაზღაურების ანგარიში. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგზე და სულ მცირე წელიწადში ერთხელ განიხილავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს.

სამეთვალყურეო საბჭო ანაზღაურების კომიტეტთან ერთად (თუ შექმნილია) ამტკიცებს შიდა აუდიტის პერსონალის, კორპორაციული მდივნის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკასა და ანაზღაურების დონეებს და ახორციელებს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემებისა და მათთან დაკავშირებული საკონტროლო პროცესების ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგს.

აღნიშნული ცვლილებები შევიდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციის ანაზღაურების პოლიტიკა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

- ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების კომპონენტები და დადგენილი მაქსიმალური ლიმიტები;
- მმართველი ორგანოების წევრთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები;
- ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტიანობას შორის ურთიერთკავშირი;
- სხვა არაფულადი კომპენსაცია.

გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემულმა ანაზღაურებამ შეადგინა 43,122 ლარი დღგ-ს გარეშე.

კომპანიის მმართველობითი ორგანოს ანაზღაურებამ მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგინა 133,992 ლარი.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით დაინტერესებულ მხარეთა უფლებების შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

აქციონერთა/პარტნიორთა/დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმები დეტალურადაა აღწერილი კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის „კარი XIII“-ში.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანაბარ პირობებში მყოფი ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის თანასწორ მოპყრობას. ფასიანი ქაღალდების პირობებისა და მათში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მქლავნდება ემიტენტებზე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მმართველი ორგანოების წევრებსა და ორგანიზაციის ყველა თანამშრომელზე მოქმედ ყველა ვალდებულებას. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსი მომზადებულია კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად.

კოდექსი მოიცავს ყველა შესაბამის დებულებას, რომელიც შემდგომში უნდა აისახოს ორგანიზაციის კორპორაციულ დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება, რათა პარტნიორებს შესაძლებლობა ჰქონდეთ წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები და მოსაზრებები.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

კომპანიის პარტნიორს შეუძლია, მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორისგან და გამოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთო კრების მეშვეობით, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი უზრუნველყოფენ პარტნიორებთან ეფექტიან და სამართლიან ურთიერთობებს და წახალისებენ პარტნიორთა აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების საქმიანობაში.

წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად საერთო კრებას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და კრების ოქმი ქვეყნდება ორგანიზაციის მიერ.

კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV კარი ადგენს ორგანიზაციის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკას. კომპანიის ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს გამჭვირვალობის მექანიზმს, პერიოდულად ექვემდებარება ტექნიკურ მხარდაჭერასა და განახლებებს. დაინტერესებულ მხარეებს გააჩნიათ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა ინფორმაციაზე. ვებ-გვერდში მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად აცნობონ საწარმოს ფარგლებში არსებული უკანონო ან არაეთიკური პრაქტიკის შესახებ შემოფოთების შესახებ.

2026 წლის 15 მაისი

გენერალური დირექტორი  
გიორგი შუკაკიძე.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

პასუხისმგებლობის განცხადება

მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი ცოდნის მიხედვით:

- ჯგუფის (კომპანია მის შვილობილ კომპანიასთან ერთად) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად და იძლევა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება ან ზარალის შესახებ და, მთლიანობაში, კონსოლიდაციაში შემავალ ვალდებულებებს;
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის პოზიციის, ბიზნესის განვითარების, საქმიანობის შედეგის სამართლიან მიმოხილვას, არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების აღწერასთან ერთად;
- მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული, გასაგები და მოიცავს საჭირო ინფორმაციას ჯგუფის პოზიციის, საქმიანობის შედეგის, ბიზნესისა და სტრატეგიის შესაფასებლად, პასუხისმგებლობის განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 15 მაისი

---

მინდია საბანაძე  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

---

გიორგი შუაკვიძე  
გენერალური დირექტორი

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში  
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში  
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე .....1-2

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....4-7

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ..8  
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება .....9  
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....10  
კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება.....11  
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება .....12

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია .....13
2. კომპანიის საოპერაციო გარემო .....13
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები .....14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას .....23
5. ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.....24
6. ძირითადი საშუალებები.....24
7. აქტივის გამოყენების უფლება.....26
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....26
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....27
10. აღებული სესხები.....27
11. საწესდებო კაპიტალი .....28
12. შემოსავალი .....28
13. გაყიდვების თვითღირებულება .....29
14. ადმინისტრაციული ხარჯები .....30
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები.....30
16. ფინანსური რისკის მართვა .....31
17. კაპიტალის მართვა .....35
18. სამართლიანი ღირებულების შეფასება .....35
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....37
20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....37
21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ.....38
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....38

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიში.....39

*Handwritten signature*

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სათანადო ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, მათი მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებასა; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

*Handwritten signature*

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე**

---

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით;
- 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას; და
- 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიში კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2026 წლის 15 მაისს.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

---

გენერალური დირექტორი  
გიორგი შუკაკიძე  
თბილისი, საქართველო

---

ფინანსური მენეჯერი  
ბექა აბუთიძე  
თბილისი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

#### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის, 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

#### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსი“ (მათ შორის, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (პბესკ კოდექსი), რომლებიც ვრცელდება საჯარო ინტერესის პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე, იმ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც ვრცელდება საჯარო ინტერესის პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ შევასრულეთ სხვა ეთიკური ვალდებულებები ამ მოთხოვნებისა და პბესკ კოდექსის სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად.

#### სხვა საკითხი

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშის აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ანგარიშგებასა და ანგარიშზე გამოსცა არამოდიფიცირებული დასკვნა 2025 წლის 28 თებერვალს.

#### აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული თვალსაზრისით, მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა. ამ საკითხებზე რეაგირება მოხდა მთლიანობაში კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და ანგარიშგებაზე თვალსაზრისის ფორმირებისას მათზე ცალკე თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

*Handwritten signature: იხილეთ აუდიტორული დასკვნა*

**რატომ ჩაითვალა ეს საკითხი აუდიტისათვის საყურადღებოდ**

**როგორ მივუღეით საკითხს აუდიტის პროცესში**

*ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნების ანალიზი*

ჯგუფისა და კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებამ, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 57,229,517 ლარი, რაც წარმოადგენს მთლიანი აქტივების 95%-ს. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ატარებს გაუფასურების პოტენციური ნიშნების შეფასებას და აფასებს, ხომ არ ჩამოუვარდება ჯგუფისა და კომპანიის ფულის წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულება მათს საბალანსო ღირებულებას. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ნიშნების არსებობის შეფასება მნიშვნელოვან განსჯას მოითხოვდა. ამიტომ, ძირითადი საშუალებების ნაშთის სიდიდიდან გამომდინარე, ეს აუდიტის ერთერთ მთავარ საკითხად ითვლება.

აუდიტის ფოკუსის ამ ასპექტის დამუშავებისას, სხვა პროცედურებს შორის, განვახორციელეთ შემდეგი:

- ჯგუფისა და კომპანიის პოლიტიკებისა და პროცედურების გაცნობიერება ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურების ნიშნების დასადგენად.
- ბასს 36-ში (აქტივების გაუფასურება) მოცემული გაუფასურების შიდა და გარეთა ნიშნების მენეჯმენტისეული ანალიზის მოპოვება და შეფასება, ისეთ საკითხებზე ფოკუსირებით, როგორებიცაა ფიზიკური დაზიანების არსებობა, ცვლილება საბაზრო ღირებულებაში, ტექნოლოგიური მოძველება და საპროცენტო განაკვეთების გაზრდა;
- მენეჯმენტისა და ჯგუფისა და კომპანიის ტექნიკური პერსონალის გამოკითხვა მენეჯმენტისეულ შეფასებაში გამოყენებული ძირითადი მონაცემებისა და დაშვებების შეფასების მიზნით.
- ინფორმაციის შიდა წყაროების ანალიზი. ამაში შედის ჯგუფისა და კომპანიის შედეგები მიმდინარე პერიოდში, წლიური გენერაციის დონეები და საოპერაციო ხარჯები, ბიუჯეტთან შედარებით.

**სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის დასკვნას მის თაობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის დონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ამ აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა

*ახან შაყსუკი-თყუაძე*

ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

### **ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები**

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, თვალყური ადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

### **აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გამოვუშვათ აუდიტებული რეპორტი რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე,

*Handwritten signature in blue ink: ანა შიდა კონტროლი*

გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.
- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი პირების ან ბიზნეს-ერთეულების ფინანსური ინფორმაციის თაობაზე, რათა მის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს წარმართვაზე, მეთვალყურეობასა და შემოწმებაზე. აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებლობა გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ უდამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მიგნებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

გარდა ამისა, კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის გადაცემულ საკითხებს შორის გამოვყოფთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს და, შესაბამისად, წარმოადგენს აუდიტისთვის საყურადღებო საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში, თუ ამ საკითხის საჯაროდ გაცხადებას არ კრძალავს მოქმედი კანონი ან წესი ან თუ, უკიდურესად იშვიათ გარემოებებში, არ დავადგინეთ, რომ საკითხს ჩვენს დასკვნაში არ უნდა შევეხოთ, რადგან მართებულად მოსალოდნელია, ამგვარი განხილვის უარყოფითი შედეგები აჭარბებდეს საჯარო ინტერესით მისაღებ სარგებელს, რაც განხილვას თან ახლავს.

დავალდების პარტნიორი აუდიტში, რომლის შედეგად წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა შეიქმნა, არის შოთა ნანიტაშვილი.

#### **ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ**

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ გავცანით მმართველობის ანგარიშს და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ვასკვნით, რომ:

- 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

*Handwritten signature in blue ink: ილინა აბრეგო-თყეშელაშვილი*

წლისათვის მომზადებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას; და

- 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

შოთა ნანიტაშვილი  
შპს “დელოიტი და ტუმის” სახელით

2026 წლის 15 მაისი  
თბილისი, საქართველო

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება (ქართული ლარი)**

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2025	2024	2025	2024
შემოსავალი	12	10,954,699	10,994,346	10,954,699	10,994,346
გაყიდვების თვითღირებულება	13	(4,111,426)	(3,118,734)	(4,111,426)	(3,118,734)
<b>მთლიანი მოგება</b>		<b>6,843,273</b>	<b>7,875,612</b>	<b>6,843,273</b>	<b>7,875,612</b>
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,159,590)	(2,487,102)	(2,159,590)	(2,487,102)
საპროცენტო ხარჯები	10	(4,490,873)	(4,743,578)	(4,490,873)	(4,743,578)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)		212,807	(2,000,535)	212,807	(2,000,535)
სხვა შემოსავალი		79,913	102,177	79,913	102,177
სხვა ხარჯები		(185,448)	(239,405)	(185,448)	(239,405)
<b>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე</b>		<b>300,082</b>	<b>(1,492,831)</b>	<b>300,082</b>	<b>(1,492,831)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(201,428)	-	(201,428)
<b>წლიური მოგება / (ზარალი)</b>		<b>300,082</b>	<b>(1,694,259)</b>	<b>300,082</b>	<b>(1,694,259)</b>
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>300,082</b>	<b>(1,694,259)</b>	<b>300,082</b>	<b>(1,694,259)</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და დირექტორთა საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 15 მაისს:

გიორგი შუაკვიძე  
გენერალური დირექტორი

ბექა აბუთიძე  
ფინანსური მენეჯერი

მე-13-38-ე გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

*Handwritten signature*

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება (ქართული ლარი)**

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		31-დეკ-25	31-დეკ-24	31-დეკ-25	31-დეკ-24
<b>აქტივები</b>					
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
ძირითადი საშუალებები	6	57,229,517	58,845,854	57,229,517	58,845,854
აქტივის გამოყენების უფლება	7	568,256	581,533	568,256	581,533
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>57,797,773</b>	<b>59,427,387</b>	<b>57,797,773</b>	<b>59,427,387</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>					
მარაგები		444,007	445,755	444,007	445,755
გადახდილი ავანსები		94,024	85,728	94,024	85,728
გაცემული სესხები		622	5,474	622	5,474
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,055,986	843,190	1,055,986	843,190
საგადასახადო აქტივები		10,389	71,648	10,389	71,648
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	687,176	328,497	687,176	328,497
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>2,292,204</b>	<b>1,780,292</b>	<b>2,292,204</b>	<b>1,780,292</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>60,089,977</b>	<b>61,207,679</b>	<b>60,089,977</b>	<b>61,207,679</b>
<b>კაპიტალი</b>					
საწესდებო კაპიტალი	11	89,691	89,691	89,691	89,691
გაუნაწილებელი მოგება	11	1,781,213	2,832,844	1,781,213	2,832,844
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,870,904</b>	<b>2,922,535</b>	<b>1,870,904</b>	<b>2,922,535</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>					
საიჯარო ვალდებულება	7	570,284	570,944	570,284	570,944
აღებული სესხები	10	52,390,818	27,984,706	52,390,818	27,984,706
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>52,961,102</b>	<b>28,555,650</b>	<b>52,961,102</b>	<b>28,555,650</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		540,690	134,215	540,690	134,215
საიჯარო ვალდებულება	7	77,294	77,294	77,294	77,294
აღებული სესხები	10	4,639,987	29,517,985	4,639,987	29,517,985
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>5,257,971</b>	<b>29,729,494</b>	<b>5,257,971</b>	<b>29,729,494</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>58,219,073</b>	<b>58,285,144</b>	<b>58,219,073</b>	<b>58,285,144</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>60,089,977</b>	<b>61,207,679</b>	<b>60,089,977</b>	<b>61,207,679</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და დირექტორთა საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 15 მაისს:

გიორგი შუაკაიძე  
გენერალური დირექტორი

ბექა აბუთიძე  
ფინანსური მენეჯერი

მე-13-38-ე გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება  
(ქართული ლარი)**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>89,691</b>	<b>5,821,117</b>	<b>5,910,808</b>
წლის მოგება	-	(1,694,259)	(1,694,259)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,294,014)	(1,294,014)
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>89,691</b>	<b>2,832,844</b>	<b>2,922,535</b>
წლის მოგება	-	300,082	300,082
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,351,713)	(1,351,713)
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>89,691</b>	<b>1,781,213</b>	<b>1,870,904</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და დირექტორთა საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 15 მაისს:

გიორგი შუკაკიძე  
გენერალური დირექტორი

ბექა აბუთიძე  
ფინანსური მენეჯერი

მე-13-38-ე გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება  
(ქართული ლარი)**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>89,691</b>	<b>5,821,117</b>	<b>5,910,808</b>
წლის მოგება	-	(1,694,259)	(1,694,259)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,294,014)	(1,294,014)
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>89,691</b>	<b>2,832,844</b>	<b>2,922,535</b>
წლის მოგება	-	300,082	300,082
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,351,713)	(1,351,713)
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>89,691</b>	<b>1,781,213</b>	<b>1,870,904</b>

გამოსაშვებად დამტკიცებული და დირექტორთა საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 15 მაისს:

გორგი შუკაკიძე  
გენერალური დირექტორი

ბექა აბუთიძე  
ფინანსური მენეჯერი

მე-13-38-ე გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

*Handwritten signature*

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება (ქართული ლარი)**

	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2025	2024	2025	2024
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>					
მოგება მოგების გადასახადამდე:		300,082	(1,492,831)	300,082	(1,492,831)
<b>კორექტირება:</b>					
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	1,864,551	1,733,979	1,864,551	1,733,979
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(212,807)	2,000,535	(212,807)	2,000,535
საპროცენტო ხარჯი	10	4,490,873	4,743,578	4,490,873	4,743,578
საპროცენტო შემოსავალი		-	(12,074)	-	(12,074)
<b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:</b>		<b>6,442,699</b>	<b>6,973,187</b>	<b>6,442,699</b>	<b>6,973,187</b>
<b>ცვლილება საბრუნავ კაპიტალში</b>					
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	(822,058)	416,653	(822,058)	416,653
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში		(8,296)	464,979	(8,296)	464,979
(ზრდა)/კლება მარაგებში		1,748	(7,686)	1,748	(7,686)
ზრდა (კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		202,936	(469,311)	202,936	(469,311)
(ზრდა)/კლება საგადასახადო აქტივებში		61,259	(92,641)	61,259	(92,641)
<b>ოპერაციებში მიღებული ნაღდი ფული</b>		<b>5,878,288</b>	<b>7,285,181</b>	<b>5,878,288</b>	<b>7,285,181</b>
გადახდილი პროცენტი	10	(3,649,733)	(3,942,055)	(3,649,733)	(3,942,055)
მიღებული პროცენტი		-	11,600	-	11,600
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(201,428)	-	(201,428)
<b>საოპერაციო საქმიანობაში მიღებული ნაღდი ფული, წმინდა</b>		<b>2,228,555</b>	<b>3,153,298</b>	<b>2,228,555</b>	<b>3,153,298</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>					
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(297,732)	(521,995)	(297,732)	(521,995)
გაცემული სესხები		(1,400)	(5,000)	(1,400)	(5,000)
მიღებული სესხის დაფარვის თანხები		6,400	-	6,400	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ამონაგები	6	79,344	20,524	79,344	20,524
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა</b>		<b>(213,388)</b>	<b>(506,471)</b>	<b>(213,388)</b>	<b>(506,471)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>					
მიღებული სესხები	10	3,805,280	4,640,019	3,805,280	4,640,019
გადახდილი დივიდენდები	11	(1,147,967)	(1,294,014)	(1,147,967)	(1,294,014)
გადახდილი სესხები	10	(4,212,083)	(6,159,024)	(4,212,083)	(6,159,024)
საიჯარო ვალდებულების გადახდა	7	(77,294)	(77,294)	(77,294)	(77,294)
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა</b>		<b>(1,632,064)</b>	<b>(2,890,313)</b>	<b>(1,632,064)</b>	<b>(2,890,313)</b>
<b>წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b>		<b>383,103</b>	<b>(243,486)</b>	<b>383,103</b>	<b>(243,486)</b>
ნაღდი ფული საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		328,497	536,814	328,497	536,814
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(24,424)	35,169	(24,424)	35,169
<b>ნაღდი ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს</b>		<b>687,176</b>	<b>328,497</b>	<b>687,176</b>	<b>328,497</b>

გამოსამუშავად დამტკიცებული და ღირებულებით საბჭოს სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 15 მაისს:

გიორგი შუკაკიძე  
გენერალური დირექტორი

ბექა აბუთიძე  
ფინანსური მენეჯერი

მე-13-38-ე გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

*Handwritten signature*

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები – 2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

## 1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ('ფასს') და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიასათვის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (ერთობლივად „ჯგუფი“).

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 404485188, არის მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70, ბიზნეს-ცენტრი „სითი თაუერი“, მე-17 სართული.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა შპს „გრინ ენერჯი ჰოლდინგი“, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო ბ-ნი მინდია საბანაძე.

2022 წლის 5 სექტემბერს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ შეისყიდა შპს „ენერჯი თრეიდინგ გუპი“ და მოიპოვა წილის 55%. საანგარიშო და წინა პერიოდების განმავლობაში ამ შვილობილ კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე ოპერაციები, არ ჰქონია რაიმე აქტივები ან ვალდებულებები და იყო უმოქმედო.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება და გაყიდვა. 2015 წლის 31 მარტს კომპანიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოს მთავრობასთან. მემორანდუმის მიზანი იყო ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ჩატარება. შედეგად, 2016 წლის 29 დეკემბერს კომპანიას საქართველოს მთავრობამ მანიჭა ლიცენზია ჰიდროელექტროსადგურების, „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ასაშენებლად. მშენებლობის ადგილად განისაზღვრა საქართველოს მთავრობის მიერ 49 წლით გამოყენების უფლებით გადაცემული მიწა. შეთანხმების ერთერთი მთავარი პირობა ისაა, რომ 49 წლის გასვლის შემდეგ მიწა და მასზე გაშენებული მთელი ინფრასტრუქტურა დაუბრუნდება საქართველოს მთავრობას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორივე ჰიდროელექტროსადგური აშენებულია და შესულია ექსპლუატაციაში.

2019 წლის 17 ივლისს კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა დამატებით მემორანდუმს, რომლის მიზანი იყო მესამე ჰიდროელექტროსადგურის „საშუალა ჰესის“ მშენებლობის დაწყება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულებულია და ის შესულია ექსპლუატაციაში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 37 და 41 პირი, შესაბამისად.

## 2. კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება, ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დამატებების გამოყენება. ასევე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

როგორც მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შვილობილი კომპანია, მპს „ენერჯი ტრეიდინგ გრუპი“ უმოქმედო საწარმოა და საანგარიშო და წინა პერიოდების განმავლობაში რაიმე ოპერაციები არ ჰქონია, კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს შორის სხვაობა არ აღინიშნება.

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია.

მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების აკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

შეძენის მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

---

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შექნილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

შექნილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შექმნასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შექმნასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

### **ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება - ინვესტიცია შვილობილ საწარმოში.**

კომპანია ინვესტიციებს შვილობილ საწარმოში ახორციელებს ინვესტიციის თავდაპირველი თვითღირებულებით, სანამ ინვესტიციას არ შეუწყდება აღიარება ან გაუფასურდება მისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, ადგილი აქვს თუ არა რაიმე სახის გაუფასურებას. თუ რაიმე ასეთი მინიშნება არსებობს, აქტივების ანაზღაურებადი თანხები შეფასდება. გამოყენების ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის შემოსულობების ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც შვილობილი კომპანიების ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

### **უცხოური ვალუტის გადაანგარიშება.**

ჯგუფის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლ").

#### **ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად ადსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვას არ ექვემდებარება თუ ამის საჭიროება ან ნებართვა არ არსებობს რომელიმე ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად არ არის განმარტებული კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში.

### **საოპერაციო სეგმენტები**

მართვის მიზნებისათვის, ჯგუფს / კომპანიას გამოვლენილი აქვთ ერთი საანგარიშო სეგმენტი - ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და ელექტროენერჯის გენერაცია და ვაჭრობა.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით. ტექნიკური და განახლების ხარჯები კაპიტალიზდება. მთავარი ნაწილის ან კომპონენტის შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ცვეთის დარიცხვისას ერთეულის მოხმარების განმავლობაში მისი ღირებულება თანდათანობით ნულამდე დადის. სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითადი საშუალების კატეგორია	სასარგებლო მოხმარების ვადა
საშუალა ჰესი 2	40 წელი
საშუალა ჰესი 1	40 წელი
საშუალა ჰესი	40 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა	10 წელი
მიწა და მიმდინარე მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება

თუ რაიმე ნიშანი მიუთითებს, რომ ცვეთის განაკვეთი, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, აქტივის ცვეთა პერსპექტიულად კორექტირდება ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის ან ჩამოწერისას, ან როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გაყიდვიდან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივის რეალიზაციის წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც აქტივის აღიარება შეწყდა.

### აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კორექტირებულია იჯარის დაწყების თარიღამდე ან ამ თარიღში გადახდილი საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), გაწეული საწყისი ჰირდაპირი ხარჯებით და — გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მარაგების თვითღირებულებაში შედის — ძირითადი აქტივის დემონტაჟისა და ამოღებისთვის, აგრეთვე ტერიტორიის ან აქტივის აღდგენისთვის გასაწევი ხარჯების შეფასებით.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის დარჩენილი ვადის ან აქტივის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში — იმის მიხედვით, რომელი უფრო მოკლეა. თუ კომპანია მოელის იჯარის ვადის ბოლოს იჯარით აღებული აქტივის საკუთრებაში მიღებას, ცვეთის დარიცხვა ხდება მისი სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება ექვემდებარება გაუფასურებას ან კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების შესაბამისად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

კომპანიამ გადაწყვიტა, არ აღიაროს სარგებლობის უფლების აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება იმ მოკლევადიანი იჯარებისთვის, რომელთა ვადა არ აღემატება 12 თვეს, აგრეთვე დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისთვის. ამ აქტივებზე საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგებაში ან ზარალში ხარჯად მათი გაწვევისთანავე.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანიის მიერ შესრულებული ყველა ოპერაცია და ფინანსური ინსტრუმენტი მიმართულია ელექტროენერჯის განაწილებიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ეს კომპანიის მთავარი მიზანი და ჩვეულებრივი საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას არასოდეს გაუყიდა თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანიის წარსული გამოცდილებიდან და მიმდინარე განზრახვებიდან გამომდინარე, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და კლასიფიცირდება პირველი ბიზნეს მოდელის — „ფლობა შემოსავლის მიღების მიზნით“ (Held to Collect, H2C) შესაბამისად.

ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები) კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას, მისი მოდიფიკაციისას ან გაუფასურებისას.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს (შენიშვნა 11) და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს (შენიშვნა 10).

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომელთა მიმართაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული შედავათი ფასდება ფასს 15-ის — „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ — შესაბამისად განსაზღვრული გარიგების ფასით.

#### ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების შესაბამისად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და კომპანიის მიერ მისაღებ მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მაჩვენებლით.

საკრედიტო რისკისათვის, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა მიმართაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იქმნება იმ საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც გამოწვეულია მომდევნო 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის შემთხვევებით (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო რისკებისათვის, რომელთა მიმართაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის რეზერვი იქმნება მისი დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის დროის მიუხედავად (სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ქმნის ბანკში არსებული ფულის ნაშთებისა და გაცემული სესხების ნაშთებისთვის.

კომპანიამ მოსალოდნელი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად გამოიყენა გამარტივებული მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადის განმავლობაში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილების დღეების მიხედვით. კომპანია სრულად ქმნის რეზერვს ისეთი სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საიდანაც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება საერთოდ არ არის მოსალოდნელი.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტში მყოფად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით არის ვალაგადაცილებული. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში კომპანიამ შესაძლოა ფინანსური აქტივი დეფოლტში მყოფად ჩათვალოს მაშინაც, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანიის მიერ შესაბამისი საკრედიტო უზრუნველყოფის გათვალისწინებამდე ნაკლებად სავარაუდოა გადასახდელი სახელშეკრულებო თანხების სრულად მიღება.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის შესაბამისი რეზერვის ხარჯზე მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის აღდგენისთვის საჭირო ყველა პროცედურა, აღარ არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების გონივრული მოლოდინი და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი დაბრუნება აისახება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

### ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობის, ან შესაბამის შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ზუსტად აღისკონტირებს მომავალ სავარაუდო გადასახდელ ან მისაღებ თანხებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარების მომენტში არსებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად:

ა. ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის სამომავლო ფულადი მისაღები (გადასახდელი) თანხების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

ბ. პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია პერიოდის დასაწყისში ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების გამრავლებული ამავე პერიოდის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე.

### ფინანსური ვალდებულებები

#### საწყისი აღიარება და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 10), სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს (შენიშვნა 11), გადასახდელ გადასახადებსა და პერსონალის წინაშე არსებულ ვალდებულებებს.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ, სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) ამორტიზაციის პროცესის მეშვეობით.

ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვისას არსებული დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საფასურის ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია მოგებაში ან ზარალში შედის საფინანსო ხარჯებში.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება მისი მოქმედების ვადა. როდესაც ერთი და იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის ახლით, რომელსაც აქვს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობები, ან არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ასეთი გაცვლა ან მოდიფიკაცია განიხილება საწყისი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულებების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია იყენებს შეფასების ისეთ მეთოდებს, რომლებიც შესაბამისია მოცემული გარემოებებისთვის და რომელთათვისაც ხელმისაწვდომია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები, რელევანტური ხილული მონაცემების მაქსიმალური და არახილული მონაცემების მინიმალური გამოყენებით.

ყველა ის აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში ფასდება ან განიმარტება, კატეგორიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის შესაბამისად, რომელიც აღწერილია ქვემოთ — მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი უდაბლესი დონის მონაცემის საფუძველზე:

· დონე 1 — აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები; · დონე 2 — შეფასების მეთოდები, რომელთათვისაც სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი უდაბლესი დონის მონაცემი პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია; · დონე 3 — შეფასების მეთოდები, რომელთათვისაც სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი უდაბლესი დონის მონაცემი დაუკვირვებადია;

ფინანსურ ანგარიშგებაში მუდმივ საფუძველზე აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, კომპანია ადგენს, მოხდა თუ არა გადანაცვლება იერარქიის დონეებს შორის, კატეგორიზაციის გადასინჯვის გზით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი უდაბლესი დონის მონაცემის საფუძველზე) თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები აქტივის ან ვალდებულების ბუნების, მახასიათებლებისა და რისკების, აგრეთვე ზემოთ აღწერილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის საფუძველზე. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები გამჟღავნებულია შენიშვნაში 17.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ის ერთეულები, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულში და რომელთა ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, გზაში მყოფ ფულს, ბანკში არსებულ ფულსა და დეპოზიტებს 3-თვიანი დაფარვის ვადით. ის თანხები, რომელთა გატანაც დეპოზიტზე განთავსებიდან მხოლოდ სამ თვეზე მეტი ვადის შემდეგ ხდება შესაძლებელი, არ კლასიფიცირდება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში.

### გადახდილი ავანსები

ავანსები აღირიცხება გადახდის მიმდინარე ღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით. წინასწარი გადახდები კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთ წელზე მეტი ვადის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება ისეთ აქტივს, რომელიც თავად საწყისი აღიარებისას გრძელვადიანად კლასიფიცირდებოდა. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე, ან როდესაც აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიდება მოსალოდნელია. სხვა გადახდილი ავანსები აისახება მოგებაში ან ზარალში წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საქონლის

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ან მომსახურების მიღებისთანავე. თუ არსებობს მაჩვენებლები იმისა, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა**

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვას, როდესაც ოპერაცია იურიდიულად აღსრულებადია და სუბიექტი გეგმავს ვალდებულებების დაფარვას წმინდა საფუძველზე, ან ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვა გათვალისწინებულია ერთდროულად.

### **ნასესხები სახსრები**

ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყველა სასესხო ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

### **საიჯარო ვალდებულებები**

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. საიჯარო ვალდებულება საწყისად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში გასაწევი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან თუ ეს განაკვეთი ადვილად ვერ განისაზღვრება — კომპანიის ნასესხები სახსრების ზღვრული საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ გადასახდელებს, შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათების ოდენობით, ცვლადი ოდენობის საიჯარო გადასახდელებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში გადასახდელ მოსალოდნელ თანხებს, ყიდვის უფლების გამოყენების ფასს, როდესაც გონივრულად ვარაუდია, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება, აგრეთვე იჯარის შეწყვეტისთვის მოსალოდნელ ნებისმიერ ჯარიმას. ცვლადი ოდენობის საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გაწევა

საიჯარო ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საბალანსო ღირებულებები გადაფასდება შემდეგი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში: გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან წარმოშობილი მომავალი საიჯარო გადასახდელები; ნარჩენი გარანტია; იჯარის ვადა; ყიდვის უფლების გამოყენებისა და იჯარის შეწყვეტისთვის ჯარიმის გადახდის ალბათობა. საიჯარო ვალდებულების გადაფასებისას შესაბამისი კორექტირება შეიტანება სარგებლობის უფლების აქტივში, ხოლო თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება სრულად ჩამოწერილია — მოგებაში ან ზარალში.

### **საკუთარი კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. საწესდებო კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიის საკუთარ კაპიტალში შეტანილი შენატანების ოდენობით.

### **დივიდენდები**

დივიდენდები აღიარდება მათი გადახდის იურიდიული ვალდებულების წარმოშობის მომენტში. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და კაპიტალი მცირდება შესაბამისი ოდენობით. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ხოლო ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები ცხადდება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების ფარგლებში.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ კომპანიამ აღიაროს შემოსავალი, უნდა შესრულდეს 5 სავალდებულო მოთხოვნა:

1. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება;
3. გარიგების ფასის იდენტიფიცირება;
4. გარიგების ფასის გადანაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად;

სუბიექტი აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც (ან როგორც კი) იგი ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების (ე.ი. აქტივის) გადაცემის გზით. აქტივი გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს.

### შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან

კომპანიის შემოსავალი მიიღება ელექტროენერჯის წარმოებიდან და გაყიდვიდან. შემოსავალი აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში, მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტით.

### შემოსავალი სამშენებლო პროექტების გასვლიდან

სამშენებლო პროექტების გასვლიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც პროექტზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს, რაც ჩვეულებრივ ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების მყიდველზე გადაცემის მომენტში.

### საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ადგილი აქვს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რომელთა სანდო შეფასებაც შესაძლებელია.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ წარმოშობს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივის აღიარების მოთხოვნებს. ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას კომპანია იღებს როგორც საოპერაციო, ისე სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება პროდუქციის გაყიდვას.

(ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი — დარიცხული ხელფასი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (დაზღვევა) დაირიცხება იმავე საანგარიშგებო წელს, რომელშიც გაწეულია შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა — საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო თანხები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი (GEL). უცხოური ვალუტით გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაითვლება კომპანიის შესაბამისი სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსების გამოყენებით. გარიგების თარიღის შემდეგ გაცვლითი კურსების ცვლილებებიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	USD	EUR
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსილ' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

### დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოს უნდა გადაეხადოს მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების მომენტში. ჩასათვლელი დღე, როგორც წესი, ჩაითვლება გადასახდელი დღე-ის წინააღმდეგ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღების მომენტში. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღე-ის გადახდას წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა საფუძველზე. მოთხოვნების გაუფასურებისთვის რეზერვის შექმნისას, გაუფასურების ზარალი აღიარდება მომავალი მთლიანი ოდენობით, დღე-ის ჩათვლით.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### 4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და განსჯა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

შენიშვნა 3-ში აღწერილი ჯგუფის / კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან ცხადად არ ჩანს. შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და მათ საფუძვლად მდებარე დაშვებები მუდმივად გადაიხედება. საადრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც შეფასების კორექტირება მოხდა, თუ კორექტირება მხოლოდ ამ პერიოდს ეხება, ან კორექტირების პერიოდსა და მომავალ პერიოდებში, თუ კორექტირება ეხება როგორც მიმდინარე, ისე მომავალ პერიოდებს.

### შეფასების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები და ხელმძღვანელობისეული განსჯა

**დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების საწყისი აღიარება** — საქმიანობის ჩვეულებრივ მიმდინარეობაში კომპანია გარიგებებს დებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებები ფასდადებული საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც ასეთი გარიგებებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

**ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნების შეფასება** — ხელმძღვანელობა აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების გარე და შიდა ნიშნებს ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ცალკეული ერთეულების დონეზე. შეფასება მოიცავს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორებიცაა ფიზიკური დაზიანება, საბაზრო პირობების ცვლილებები, ტექნოლოგიური მოძველება და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. ხელმძღვანელობა ასევე აფასებს ინფორმაციის შიდა წყაროებს, მათ შორის თითოეული ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ფაქტობრივ შესრულებას დამტკიცებულ ბიუჯეტებთან შედარებით — ელექტროენერჯის გენერაციის, საშუალო ტარიფებისა და საოპერაციო ხარჯების მიხედვით.

ხარისხობრივ შეფასებას ემატება სამართლიანი ღირებულების ანალიზი, რომლებიც მომზადებულია შიდა მმართველობითი მიზნებისთვის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდულების გამოყენებით. ამ ანალიზებმა აჩვენა, რომ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები აღემატებოდა მათ საბალანსო ღირებულებებს. ამ შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** — ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება მსჯელობის საკითხია, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებას. აქტივებში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად მოიხმარება გამოყენების გზით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორებიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებითი პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც აქტივები კომპანიისთვის სარგებლის მოტანას მოელოდა. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც წარმოშობილია საბაზრო პირობების ცვლილებებიდან.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### 5. ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

მიმდინარე წლის განმავლობაში ჯგუფმა და კომპანიამ გამოიყენეს საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2025 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებზე. ამ შესწორებების მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ან აქ გაკეთებულ განმარტებებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 21 - გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი - გაცვლითი შესაძლებლობების ნაკლებობა	ჯგუფმა და კომპანიამ სტანდარტის ბასს 21 შესწორებები პირველად გამოიყენეს მიმდინარე წელს. შესწორებები აკონკრეტებს, როგორ უნდა შეფასდეს, ექვემდებარება თუ არა ვალუტა გაცვლას და როგორ უნდა დადგინდეს გაცვლითი კურსი, როდესაც ამ ვალუტის გაცვლა შეუძლებელია.
--	---

### ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია გამოცემული, მაგრამ აუმოქმედებელი ახალი და გადამუშავებული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ქვემოთაა მოცემული.

შესწორება სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7	ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია- შეფასებასთან დაკავშირებული შესწორებები
ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური რედაქტირება - მე-11 ტომი	შესწორება სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად დანერგვა, ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები და ფასს 7 სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებული თანდართული ცნობარი, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და, ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის შემცველი ხელშეკრულებები
შესწორება სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასში მოცემული განმარტებები
ფასს 18	შვილობილი საწარმოები საჯარო
ფასს 19	ანგარიშვალდებულებების გარეშე: განმარტებები

ჯგუფისა და კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

### 6. ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ჯგუფისა და კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

	მიწა	შენობა- ნაგებობ ები	ჰიდროელექტრ ო სადგურები	ავტოტრან სპორტი	სხვა	სულ
<b>ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>62,275</b>	-	<b>62,432,372</b>	<b>1,782,087</b>	<b>336,842</b>	<b>64,613,576</b>
დამატება	-	298,030	-	86,215	137,750	521,995
რეალიზაცია	-	-	-	(33,050)	(169)	(33,219)
<b>ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>62,275</b>	<b>298,030</b>	<b>62,432,372</b>	<b>1,835,252</b>	<b>474,423</b>	<b>65,102,352</b>
დამატება	16,547	37,072	14,670	160,949	107,442	336,680
რეალიზაცია	-	-	(21,571)	(78,876)	(1,296)	(101,743)
<b>ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>78,822</b>	<b>335,102</b>	<b>62,425,471</b>	<b>1,917,325</b>	<b>580,569</b>	<b>65,337,289</b>
<b>ცვეთა 2024 წლის 1 იანვარს</b>	-	-	<b>(4,091,384)</b>	<b>(375,262)</b>	<b>(81,881)</b>	<b>(4,548,527)</b>
ცვეთის დარიცხვა	-	(3,200)	(1,569,758)	(118,500)	(29,208)	(1,720,666)
ჩამოწერა	-	-	-	12,531	164	12,695
<b>ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	-	<b>(3,200)</b>	<b>(5,661,142)</b>	<b>(481,231)</b>	<b>(110,925)</b>	<b>(6,256,498)</b>
ცვეთის დარიცხვა	-	(10,475)	(1,543,797)	(248,035)	(48,967)	(1,851,274)
<b>ცვეთა 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	-	<b>(13,675)</b>	<b>(7,204,939)</b>	<b>(729,266)</b>	<b>(159,892)</b>	<b>(8,107,772)</b>
<b>ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>62,275</b>	-	<b>58,340,988</b>	<b>1,406,825</b>	<b>254,961</b>	<b>60,065,049</b>
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>62,275</b>	<b>294,830</b>	<b>56,771,230</b>	<b>1,354,021</b>	<b>363,498</b>	<b>58,845,854</b>
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>78,822</b>	<b>321,427</b>	<b>55,220,532</b>	<b>1,188,059</b>	<b>420,677</b>	<b>57,229,517</b>

ჰიდროელექტროსადგურებში შედის ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის წმინდა საბალანსო ღირებულება 2025 და 2024 წლებში იყო 1,904,755 და 1,960,817 ლარი, შესაბამისად.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ერთეულები 207,263 ლარის და 27,559 ლარის ღირებულებით, შესაბამისად. ინფორმაცია უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ძირითადი საშუალებების შესახებ იხილეთ შენიშვნაში 10. კომპანიის სასესხო ხელშეკრულებები შეიცავს შემზღუდავ დათქმებს, რომლებიც კრძალავს ნებისმიერი ძირითადი საშუალების გაყიდვას ან იჯარით გაცემას ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

**7. აქტივის გამოყენების უფლება**

მოძრაობა ჯგუფისა და კომპანიის აქტივის გამოყენების საბალანსო ღირებულებაში იყო

აქტივის გამოყენების უფლება	მიწა
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	594,846
ცვეთა	(13,313)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	581,533
ცვეთა	(13,277)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	568,256
<b>საიჯარო ვალდებულება</b>	<b>Total</b>
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	648,831
საპროცენტო ხარჯი	76,701
გადახდა	(77,294)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	648,238
საპროცენტო ხარჯი	76,634
გადახდა	(77,294)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	647,578

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის ხელმოწერილია შეთანხმება კომპანიის მიერ მიწის გამოყენების უფლების შესახებ, რაც ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და ელექტროენერჯის წარმოებას. ხელშეკრულება გაფორმებულია 49 წლით.

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის მოცემული საპროცენტო განაკვეთი. ამდენად, კომპანიამ გამოიყენა ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია ნასესხების სახსრების საბაზრო განაკვეთების შესახებ. ინფორმაცია აქტივის გამოყენების უფლების ერთეულების უზრუნველყოფად გამოყენების შესახებ იხილეთ შენიშვნაში 10. საიჯარო ხელშეკრულებები უმეტესად ეხება მიწის იჯარას, სახელშეკრულებო ვადით - 49 წელი. საშუალო შეწონილი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად გამოიყენება, არის 11.82%.

**8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

ჯგუფისა და კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო:

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები ელექტროენერჯის გაყიდვიდან	480,176	843,190
მოთხოვნები ჰიდროელექტროსადგურის მიმდინარე პროექტის გაყიდვიდან	575,810	-
<b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>1,055,986</b>	<b>843,190</b>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ გაყიდა სურების ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომელიც მშენებლობის ეტაპზე იყო. შესაბამისი მისაღები ანაზღაურება შევიდა 2025 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნის ნაშთები იყო მიმდინარე და არ იყო ვადაგადაცილებული.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

**9. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ჯგუფისა და კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო:

	<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>
ნადდი ფული სალაროში	500,000	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	184,389	327,730
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,787	767
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>687,176</b>	<b>328,497</b>

ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და ერიცხება პროცენტი. მოთხოვნამდე ანგარიშები განთავსებულია თიბისი ბანკში, რომლის ფიტჩის რეიტინგია BB.

დეტალები დენომინაციის ვალუტის შესახებ იხილეთ შენიშვნაში 16.

**10. ადებულის სესხები**

ჯგუფისა და კომპანიის მიერ ადებულის სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

<i>ქართული ლარი</i>	<b>2025</b>	<b>2024</b>
ვადიანი სესხები ბანკებიდან	16,908,173	16,675,923
აქციონერი	501,442	-
ვადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	12,613,799	12,699,829
ობლიგაციები	27,007,390	28,126,939
<b>სულ ადებულის სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>57,030,804</b>	<b>57,502,691</b>

ჯგუფისა და კომპანიის მიერ ადებულის სესხები დენომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

<i>ქართული ლარი</i>	<b>2025</b>	<b>2024</b>
ადებულის სესხების დენომინაცია:		
- აშშ დოლარი	35,793,336	37,099,034
- ევრო	16,877,149	13,472,002
- ლარი	4,360,319	6,931,655
<b>სულ ადებულის სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>57,030,804</b>	<b>57,502,691</b>

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

2025 და 2024 წლებში მოძრაობა აღებულ სესხებში იყო:

	2025	2024
აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთი 1 იანვარს	57,502,691	56,763,494
შემოსავალი აღებული სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან	3,805,280	4,640,019
საპროცენტო ხარჯი	4,407,472	4,666,877
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(212,924)	1,533,380
არაფულადი დაფარვა	(609,899)	-
პროცენტის დაფარვა	(3,649,733)	(3,942,055)
თანხის ძირის დაფარვა	(4,212,083)	(6,159,024)
<b>აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთი 31 დეკემბერს</b>	<b>57,030,804</b>	<b>57,502,691</b>

აღებული სესხების არაფულადი დაფარვა გამოწვეულია სურები-ჰესის მოთხოვნის ნაშთის გამოქვითვით „აიჯი დეველოპმენტის“ მიმართ არსებული სესხიდან, რაც მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას შეესაბამება.

2025 წლის 23 ივნისს კომპანიამ ქართულ საფონდო ბირჟის პლატფორმაზე გამოუშვა ობლიგაციები, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1,000 აშშ დოლარი თითო და ერიცხება კუპონის განაკვეთი კვარტალური 8.5%. ემისიის მთლიანი ღირებულებაა 10,000,000 აშშ დოლარი. მთელი ეს თანხა გამოყენებული იქნა წინა ობლიგაციების რეფინანსირებისათვის.

ჯგუფი და კომპანია ბანკისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იყენებენ შემდეგ აქტივებს:

ქართული ლარი	შენიშვნა	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	6	57,229,516	58,845,854
აქტივის გამოყენების უფლება მარაგები	7	568,256	581,533
		444,007	445,755
<b>სულ</b>		<b>58,241,779</b>	<b>59,873,142</b>

**11. საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის დამფუძნებელ დოკუმენტაციაში. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 1,351,713 და 1,294,014 ლარი, შესაბამისად.

**12. შემოსავალი**

ჯგუფისა და კომპანიის შემოსავალი იყო:

	2025	2024
შემოსავალი ელექტროენერჯიის გაყიდვიდან	9,266,147	10,994,346
შემოსავალი ჰიდროელექტროსადგურის მიმდინარე მშენებლობის გაყიდვიდან	1,688,552	-
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>10,954,699</b>	<b>10,994,346</b>

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ გაყიდა სურების ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომელიც მშენებლობის ფაზაში იყო. კომპანიამ ამ პროექტის განხორციელება დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გაყიდვისა და მისი განხორციელებიდან შემოსავლის მიღების მიზნით.

ჯგუფისა და კომპანიის შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან სეზონების მიხედვით ასეთია:

	2025	2024
შემოდგომა-ზამთარი	5,946,421	7,711,858
გაზაფხული-ზაფხული	3,319,726	3,282,488
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>9,266,147</b>	<b>10,994,346</b>

გაზაფხულსა და ზაფხულში კომპანიას უფლება აქვს, ელექტროენერჯია გაყიდოს ადგილობრივად ან უცხოურ ბაზრებზე.

ჯგუფისა და კომპანიის შემოსავალი ელექტროენერჯის გაყიდვიდან საექსპორტო და ადგილობრივი ბაზრების მიხედვით ასეთია:

	2025	2024
ადგილობრივი გაყიდვები	7,409,891	9,192,267
ექსპორტი	1,856,256	1,802,079
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>9,266,147</b>	<b>10,994,346</b>

2022 წლის 30 სექტემბერს და 2021 წლის 9 აგვისტოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიასა“ და სს „ესკოს“ შორის გარანტირებული გაყიდვის შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გენერირებული ელექტროენერჯია სს „ესკოს“ უნდა მიეყიდოს. ხელშეკრულების ვადა 10 წელია. შემოდგომა-ზამთრის თვეებია: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.

**13. გაყიდვების თვითღირებულება**

ჯგუფისა და კომპანიის გაყიდვების თვითღირებულება ასეთია

	2025	2024
ცვეთის ხარჯი	(1,864,550)	(1,733,980)
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიმდინარე პროექტის თვითღირებულება	(1,039,992)	-
ელექტროენერჯის გადაცემის საკომისიო	(423,831)	(436,042)
სახელფასო ხარჯი	(511,749)	(398,480)
საწვავი	(131,259)	(123,784)
რეგულატორის საფასური	-	(38,525)
სხვა ხარჯები	(140,045)	(387,923)
<b>სულ გაყიდვების თვითღირებულება</b>	<b>(4,111,426)</b>	<b>(3,118,734)</b>

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

### 14. ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფისა და კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები ასეთია:

	2025	2024
მომსახურების ხარჯები	(486,028)	(578,318)
გადასახადები	(634,358)	(684,599)
სახელფასო ხარჯი	(626,812)	(922,512)
დაზღვევის ხარჯი	(118,555)	(110,115)
რემონტისა და მომსახურების ღირებულება	(39,553)	(77,226)
იჯარის ხარჯი	(67,756)	(68,077)
საოფისე ხარჯი	(39,304)	(19,060)
სხვა ხარჯები	(147,224)	(27,195)
<b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>(2,159,590)</b>	<b>(2,487,102)</b>

მომსახურების ხარჯებში შედის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სერვისის სანაცვლოდ გადახდილი აუდიტის საფასური 43,122 ლარის ოდენობით (2024: 38,136 ლარი).

### 15. გაუთვალისწინებელი მოვლენები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა მუდმივი განვითარების რეჟიმშია და ამიტომ ახასიათებს ცვალებადი ინტერპრეტაციები და ხშირი ცვლილებები, ზოგჯერ - რეტროაქტიურად. გარდა ამისა, ჯგუფისა და კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის საგადასახადო ორგანოებისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით შეიძლება არ დაემთხვეს ხელმძღვანელობისეულს. საგადასახადო წელი შესამოწმებლად დიაა სამი წლის განმავლობაში. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარკვეული ტრანზაქციები, რის შედეგადაც კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხდება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მალაღია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვეველობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში.

აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირებას, რომელიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები.** 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნია სახელმძღვანელო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ქონებასთან.

**დათქმები.** ჯგუფს / კომპანიას ეკისრება გარკვეული დათქმები, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია სს საქართველოს ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან და გამოშვებულ ობლიგაციებთან. მსგავს პირობებთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფისთვის ნეგატიური შედეგები, მათ შორის სესხით სარგებლობის ხარჯის ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შესრულებული ჰქონდა ობლიგაციებთან დაკავშირებული ყველა დათქმა.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ ბანკისგან წლის დასრულებამდე მოიპოვა წერილი, სადაც ბანკი უარს ამბობს ვადაგადაცილებული სესხის თანხების დაჩქარებულად დაფარვის მოთხოვნაზე.

**გარემოსდაცვითი საკითხები.** საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

**კლიმატის ცვლილება.** ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მოვლენების განვითარების მონიტორინგს და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი იქნება გაცემული იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

### 16. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შესრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს. ჯგუფის

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

---

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო დირებულებაში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი ჯგუფის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების აღბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

**ზღვრები.** ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტისა და დარგის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების დეტალური მონიტორინგი ხორციელდება და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ ანალიზსა და დამტკიცებას. იმისათვის, რათა განხორციელდეს საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მონიტორინგი, რეგულარულად კეთდება ანგარიშები, რომლებიც დაფუძნებულია სტრუქტურირებულ ანალიზზე მომხმარებლის ფინანსური წარმადობის თვალსაზრისით. უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებელთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მოეხსენება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და ყურადღებას აქცევს ვალადაცხადებულ ბალანსებს.

**საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.** 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია არ ეკისრება.

**საბაზრო რისკი.** ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ჯგუფისა და კომპანიის სავალუტო რისკის შემოქმედება 2025 და 2024 საანგარიშგებო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

USD		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	735	372
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	32,624,994	34,257,836
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>(32,624,259)</b>	<b>(34,257,464)</b>
EUR		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,052	395
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	16,684,044	13,299,365
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>(16,681,992)</b>	<b>(13,298,970)</b>

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძობელობას სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, რომლებიც გამოყენებულია ბალანსის თარიღისთვის, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი რჩება:

	31 December 2025	31 December 2024
USD გამყარდა 20%-ით	(6,524,852)	(6,851,493)
USD გაუფასურდა 20%-ით	6,524,852	6,851,493
EUR გამყარდა 20%-ით	(3,336,398)	(2,659,794)
EUR გაუფასურდა 20%-ით	3,336,398	2,659,794

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონის მერყეობის ეფექტი.

ცხრილში შეჯამებულია ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილი ერთიანად წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობებს საბალანსო ღირებულებით, რაც დალაგებულია სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასებისა და გადახდის ვადის გასვლის თარიღებს შორის უადრესით.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

<i>ქართული ლარი</i>	<b>1 წელზე ნაკლები</b>	<b>1-5 წელი</b>	<b>5 წელზე მეტი</b>	<b>სულ</b>
<b>31 დეკემბერი 2025</b>				
ფინანსური აქტივები	624	-	-	624
ფინანსური ვალდებულებები	(4,639,987)	(25,003,533)	(28,034,862)	(57,678,382)
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(4,639,363)</b>	<b>(25,003,533)</b>	<b>(28,034,862)</b>	<b>(57,677,758)</b>
<b>31 December 2024</b>				
ფინანსური აქტივები	5,474	-	-	5,474
ფინანსური ვალდებულებები	(29,518,645)	(5,958,760)	(22,673,524)	(58,150,929)
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(29,513,171)</b>	<b>(5,958,760)</b>	<b>(22,673,524)</b>	<b>(58,145,455)</b>

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ადებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც დავალიანების თანხა არ არის დაფარული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
<b>ვალდებულებები</b>					
ადებული სესხები	7,941,157	53,092,357	9,526,191	70,559,705	57,030,829
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	540,692			540,692	540,692
<b>სულ მომავალი გადახდები თანხის ძირისა და პროცენტის გადახდის ჩათვლით</b>	<b>8,481,849</b>	<b>53,092,357</b>	<b>9,526,191</b>	<b>71,100,397</b>	<b>57,571,521</b>

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
<b>ვალდებულებები</b>					
ადებული სესხები	35,497,243	24,722,132	8,850,753	69,070,128	57,521,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	134,215			134,215	134,215
<b>სულ მომავალი გადახდები თანხის ძირისა და პროცენტის გადახდის ჩათვლით</b>	<b>35,631,458</b>	<b>24,722,132</b>	<b>8,850,753</b>	<b>69,204,343</b>	<b>57,655,804</b>

**17. კაპიტალის მართვა**

**კაპიტალის მართვა.** კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მას კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის მიერ მართული მთლიანი კაპიტალი, წარმოადგენს საკუთარ კაპიტალს, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და რეგულარულად ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მიმოხილვას.

**18. სამართლიანი ღირებულების შეფასება**

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად სორცირდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების სერების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არა-დაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)**  
**2025 წლის 31 დეკემბერი**  
*(ქართული ლარი)*

3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

<i>ქართული ლარი</i>	2025 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<b>აქტივები</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,055,986	1,055,986
- გაცემული სესხები	-	-	624	624
- ფული და ფულის ეკვივალენტები	687,176	-	-	687,176
<b>სულ აქტივები</b>	<b>687,176</b>	<b>-</b>	<b>1,056,610</b>	<b>1,743,786</b>
<b>ვალდებულებები</b>				
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
- ნასესხები სახსრები	-	57,030,804	-	57,030,804
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	540,692	540,692
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>57,030,804</b>	<b>540,692</b>	<b>57,571,496</b>
<b>2024 წ. 31 დეკემბერი</b>				
<i>ქართული ლარი</i>	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<b>აქტივები</b>				
<b>ფინანსური აქტივები</b>				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	843,190	843,190
- გაცემული სესხები	-	-	5,474	5,474
- ფული და ფულის ეკვივალენტები	328,497	-	-	328,497
<b>სულ აქტივები</b>	<b>328,497</b>	<b>-</b>	<b>848,664</b>	<b>1,177,161</b>
<b>ვალდებულებები</b>				
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
- ნასესხები სახსრები	-	57,502,691	-	57,502,691
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	134,215	134,215
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>57,502,691</b>	<b>134,215</b>	<b>57,636,906</b>

*მხვ შტუტენკო - თბილისი*

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები..** მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაპენტის საკრედიტო რისკზე.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

**19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით**

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალდებულო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (d) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისა და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

**20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის პარტნიორებს, კომპანიას ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

მიმდინარე და წინა საანგარიშო პერიოდებში დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

გარიგებები:	2025	2024
<b>დაკავშირებული მხარეები</b>		
შემოსავალი	1,688,552	-
გაყიდვების თვითღირებულება	1,039,992	-
საპროცენტო ხარჯი	735,264	746,656
საიჯარო ხარჯი	67,756	67,577

*A. G. Energy - Group*

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)  
2025 წლის 31 დეკემბერი  
(ქართული ლარი)**

ნაშთები:	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<b>დაკავშირებული მხარეები</b>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	575,810	-
ნასესხები სახსრები	13,115,241	12,719,102
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	214,286	267,858

**21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ**

2026 წელს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ თიბისი ბანკისგან მიიღო 500,000 ევროს ოდენობის სესხი, რომელიც უმთავრესად გამოყენებულ იქნა თიბისი ბანკის არსებული სესხის რეფინანსირებისთვის, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო დაუფარავი.

**22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს.

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## მმართველობითი ანგარიშგება

### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 9 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით – ს/კ 404485188. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N70, ბიზნეს ცენტრი „სითი თაური“, მე-17 სართული. კომპანიას ფილიალი არ გააჩნია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მოძიება; ჰიდროელექტროსადგურების პროექტირება და მშენებლობა; განახლებადი ენერჯის ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა; ენერჯეტიკული პროექტების განვითარება და შემდგომი რეალიზაცია; მსგავსი საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა; ტურბინებისა და გენერატორების მონტაჟი; ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაცია; ელექტროენერჯის წარმოება, რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტი.

2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. 2016 წლის 29 დეკემბერს, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების – „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ – მშენებლობის უფლება. საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე კომპანიას 49 წლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა პროექტის განვითარებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები. აღნაგობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობაა, რომ 49 წლის ვადის გასვლის შემდეგ მიწა და მასზე არსებული ნებისმიერი ნაგებობა სახელმწიფოს დაუბრუნდება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები ექსპლუატაციაში შევიდა.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან დამატებით გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა მესამე ჰიდროელექტროსადგურის – „საშუალა ჰესი“ – მშენებლობის უფლება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულებულია და წარმატებით ოპერირებს.

საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით კომპანიას საკუთარი აქციები არ გამოუშვა. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩონხატაურის მუნიციპალიტეტში.

2025 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 37 თანამშრომელი.

### 2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

### 3. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ

კომპანიამ 2023 წლის 22 ივნისს გამოუშვა ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი – 8.5%-ს. ობლიგაციების დაფარვის თარიღია 22.06.2025. ობლიგაციების საბოლოო მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10,000,000 აშშ დოლარით. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს.

კომპანიამ 2025 წლის 23 ივნისს დამატებით გამოუშვა „მწვანე ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა ასევე შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი – 8.5%-ს. ობლიგაციების დაფარვის თარიღია 23.06.2027. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს. გამოშვებული მწვანე ობლიგაციების მთლიანი მოცულობა მოხმარდა არსებული ობლიგაციების რეფინანსირებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ობლიგაციების განთავსებული მოცულობა შეადგენდა 10,000,000 აშშ დოლარს.

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## შმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

### 4. ინფორმაცია მწვანე ფინანსირების ჩარჩოს შესახებ

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 100%-იანმა დამფუძნებელმა – შპს „გრინ ენერჯი ჰოლდინგმა“, თიბისი კაპიტალისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, წარმატებით მოიპოვა მწვანე დაფინანსების ჩარჩოზე მეორე მხარის მოსაზრება.

აღნიშნული ადასტურებს, რომ კომპანიამ წარმატებით შეიმუშავა მწვანე დაფინანსების ჩარჩო, ხოლო დამოუკიდებელი საერთაშორისო შემფასებლის – Sustainalytics-ის – მიერ გაცემული დადებითი შეფასება ადასტურებს, რომ კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი განახლებადი ენერჯის პროექტები სრულ შესაბამისობაშია მწვანე დაფინანსების საერთაშორისო პრინციპებთან. კომპანია გეგმავს ახალი ემისიის განთავსებას, რომლის ფარგლებშიც მოზიდული სახსრები მოხმარდება მწვანე ინვესტიციების დაფინანსებას.

„მწვანე პროექტებისთვის“ მოზიდული ინვესტიციებისა და ფულადი სახსრების ეფექტიანი განაწილების მიზნით, 2024 წლის 30 დეკემბერს შპს „გრინ ენერჯი ჰოლდინგის“ (ს/კ 405734022) სამეთვალყურეო საბჭომ, დოკუმენტით სახელწოდებით „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2, დამტკიცებული ორგანიზაციის 2024 წლის მწვანე დაფინანსების ჩარჩო დოკუმენტის (Green Financing Framework, December 2024) ფარგლებში“, შექმნა მწვანე ობლიგაციების კომიტეტი და დაამტკიცა მისი დებულება.

### 5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი ამოცანებია არსებული გენერაციის ობიექტების ეფექტიანი ექსპლუატაცია და მართვა; ელექტრომექანიკური მოწყობილობების მუდმივი მონიტორინგი; საიმედოობის მაქსიმალური უზრუნველყოფა; წარმოებული ელექტროენერჯის მაქსიმალურად ხელსაყრელ ფასად რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანიას უკვე გააჩნია ელექტროენერჯის ექსპორტის პრაქტიკული გამოცდილება. კომპანიის სამომავლო გეგმები ასევე მოიცავს ახალი ენერჯეტიკული პროექტების მოძიებასა და განვითარებას.

2024 წლის 19 მარტს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ხელშეკრულება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ მიიღო ექსპლუატაციის უფლება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მომზადებისა და შემდგომში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების მიზნით. 2025 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ შპს „სურები ჰესთან“ (ს/კ 405771151) გააფორმა შეთანხმება №01-01092025 უფლება-ვალდებულებათა გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც პროექტი გადაეცა შპს „სურები ჰესს“ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, კომპანიის მიერ მოძიებული პროექტების ფარგლებში, საინვესტიციო წინადადება „ნიალა ჰესზე“ წარდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, თუმცა საქართველოს მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ასევე შედის მწვანე დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში მოზიდული სახსრებით მწვანე ინვესტიციების განხორციელება.

### 6. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა სხვადასხვა საპროექტო და კვლევითი ორგანიზაციები. შესწავლილი იქნა პროექტების განთავსების ტერიტორიის სეისმური მდგომარეობა; გეოლოგიური და გეოტექნიკური გარემო; ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები; ფლორა და ფაუნა; სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები. მომზადდა შესაბამისი კვლევითი ანგარიშები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და დეტალური დიზაინი, რომლის მომზადებისას გამოყენებული იქნა საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკა. ასევე განისაზღვრა გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. მიღებული შედეგების საფუძველზე პროექტები შეფასდა, როგორც თანამედროვე საინჟინრო პრაქტიკის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სრულყოფილი გათვალისწინებით.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

#### 7. გარემოსდაცვითი საკითხები

მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ სამშენებლო და საოპერაციო პროცესში მოქმედებს საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია მუდმივად უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მოთხოვნების შესრულებას; შესაბამისი გარემოსდაცვითი პროცედურების დაცვას; პერიოდული კვლევების ჩატარებას; სამინისტროსთვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენას.

#### 8. მთავარი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და ასევე არ ახორციელებს ოფციონების გამოშვებას. ქვემოთ აღწერილია ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომელთა შემოქმედებასაც კომპანია ექვემდებარება.

##### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადების ან სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკს საბაზრო ფასების მერყეობის შედეგად. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. საბაზრო რისკის შედეგად დაზიანებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში შედის პროცენტული სესხები და ბანკში განთავსებული ფულის ნაშთები.

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი იმის რისკია, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს მასზე მოქმედი გაცვლითი კურსების ცვლილება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ოპერაციებს, რის გამოც ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს გაცვლითი კურსის ცვლილება. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის.

##### საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას აქვს როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, გარდა ზემოაღნიშნული სავალუტო რისკისა, მასზე აგრეთვე მოქმედებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი. ფიქსირებული განაკვეთი ერიცხება მხოლოდ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. მენეჯმენტი აღნიშნულ რისკს მართავს ფიქსირებული განაკვეთის სესხების წილის ზრდითა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებით.

##### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაპენტი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რაც კომპანიას ფინანსურ ზარალს მიაყენებს. კომპანია ექვემდებარება რისკს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნების ნაწილში, ისე ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი საბანკო ნაშთების ნაწილში.

ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით, ხოლო თანხები განთავსებულია მხოლოდ სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის განსაზღვრის გამარტივებულ მიდგომას. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალდებულებების შესრულების სახელშეკრულებო ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო დღე. შესაბამისად, კომპანია პერიოდულად აკონტროლებს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთს და რეზერვის განსაზღვრისას ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განხორციელებულ სავაჭრო მოთხოვნების ამოღებებს.

# ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

## მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს მის მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად აქვს მოთხოვნა ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ყოველთვიურ ფულადი ნაკადების ბიუჯეტს და ამზადებს ფულადი ნაკადების პროგნოზებს. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შექმნისა და შექმნის მიზნით იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

### 9. კორპორაციული მართვა

კომპანიის ორგანოებია: პარტნიორთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო (ქვეკომიტეტით — აუდიტის კომიტეტი); და მმართველი ორგანო — დირექტორი.

### დირექტორი

დირექტორს აქვს კომპანიის მართვისა და წარმომადგენლობის უფლება და იგი მოქმედებს როგორც კომპანიის ერთპიროვნული წარმომადგენელი. დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს კომპანიის სახელით და წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან ურთიერთობებში. დირექტორის მართვის უფლება მოიცავს კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

### საერთო კრება

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორცაა: ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია; ვალდებულებების, მათ შორის სასესხო ვალდებულებების აღება; კრედიტის მიღება ან გაცემა; ვალდებულებების უზრუნველყოფა; ორგანიზაციის ქონების გასხვისება, დატვირთვა ან დაგირავება; დივიდენდების განაწილება; წლიური აუდიტის შედეგების დამტკიცება; აგრეთვე კომპანიის დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე დირექტორისა და/ან პარტნიორის მიმართ მინიჭებული დამატებითი უფლებების განხორციელება.

### სამეთვალყურეო საბჭო

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აუდიტის კომიტეტის შექმნისა და მისი შემადგენლობის შესახებ. პარტნიორთა 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეივსალა კომპანიის წესდება და ხელახლა დაკომპლექტდა სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, განცხადების რეგისტრაციის ნომერი / მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024).

### დღეის მდგომარეობით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე / წევრი: მინდია საბანაძე, 01023002458  
თავმჯდომარის მოადგილე / წევრი: გიორგი მთიბელაშვილი, 01017013930 (დამოუკიდებელი წევრი)  
წევრი: დავით ხაჩიძე, 01024024429  
წევრი: ლევან მესხელი, 01008030756  
წევრი: ბექა აბუთიძე, 01024078750  
წევრი: ირაკლი ჭილაძე, 01008021270 (დამოუკიდებელი წევრი)

### სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის წევრები:  
თავმჯდომარე: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)  
ბექა აბუთიძე, 01024078750  
ირაკლი ჭილაძე, 01008021270

კორპორაციული მართვის დეტალური ანალიზი მოცემულია მე-9 თავში.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04-ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება

**მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შესაბამისობის ანგარიში საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან**

მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შესაბამისობის ანგარიში „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ (დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით) (შემდგომში — „კორპორაციული მართვის კოდექსი“) — შემდგომში „შესაბამისობის ანგარიში“ — მომზადებულია კორპორაციული მართვის კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიში აღწერს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შესაბამისობის მდგომარეობას აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე წარმოდგენილია ალტერნატიული მიდგომა — კერძოდ, იმ ღონისძიებების აღწერა, რომლებიც კომპანიამ განახორციელა ან გეგმავს განახორციელოს კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

#### კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტები

მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №2) დამტკიცდა „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“, რომელმაც განსაზღვრა ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები და ანგარიშგების მოთხოვნები. შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო წარმოადგენს კორპორაციული მართვისა და კონტროლის ერთიან ჩარჩოს, რომელიც მოიცავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, საკითხების განხილვისა და დამტკიცების წესს, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღებისა და მონიტორინგის პროცედურებს. სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №3) დამტკიცდა დირექტორის მიერ წარმოდგენილი განახლებული „ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერჯეტიკის სექტორში“; აგრეთვე დამტკიცდა შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს განახლებული რედაქცია და კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.

შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, ორგანიზაციის წესდებასთან ერთად, უზრუნველყოფს მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, გამჭვირვალობის ხარისხს, რაც თავის მხრივ საფუძველს ქმნის ინვესტორთა ნდობის გასაძლიერებლად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ორგანიზაციის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოსა და მისი ქვეთავების — მათ შორის კომპანიის ფინანსური და სხვა ინფორმაციის — ხელმისაწვდომობა ორგანიზაციის ვებგვერდის ან სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო სავალდებულო მმართველობითი დოკუმენტია ორგანიზაციაში ნებისმიერი თანამდებობის მქონე პირისთვის, მმართველი ორგანოების წევრებისა და თანამშრომლებისთვის. მისი ხელმისაწვდომობა ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია დირექტორის მიერ. შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსს; მისგან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, სახელმძღვანელო შეიცავს შესაბამის მითითებას, სადაც აღნიშნულია განსხვავებული ნორმის ორგანიზაციის წესდებასა და სხვა კორპორაციულ დოკუმენტებში ასახვის გეგმა და თარიღი.

მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის სისტემის „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 172/04 ბრძანებით; შემდგომში — „კორპორაციული მართვის კოდექსი“), მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია (შემდგომში — „წესდების ახალი რედაქცია“; თან ერთვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერს, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი / მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024). წესდების ახალ რედაქციაში ასახულია ორგანიზაციის „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული ყველა ის ცვლილება, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი იყო „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის ზოგად დებულებებთან შესაბამისობის შესახებ

#### სამეთვალყურეო საბჭო

მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B22134264, მომზადებულია 26/10/2022). პარტნიორთა 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭო ხელახლა დაკომპლექტდა (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B24166902, მომზადებულია 31/12/2024).

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სხვადასხვა კორპორაციული მართვის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება დაევალა ორგანიზაციის დირექტორს.

2022 წლის 24 ოქტომბერს პარტნიორთა კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის წესდების ახალი რედაქცია, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა კორპორაციული მართვის საკითხები, გამიჯნა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციები და დადგინა მმართველი ორგანოების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. შემდგომში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის მიზნით, ორგანიზაციამ 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიიღო წესდების ახალი რედაქცია, რომელიც ეფუძნებოდა 2022 წლის 22 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის №2 ოქმს.

ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი II“. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი „ქვევისა და ეთიკის კოდექსის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. იგი აღგენს ქვევის მაღალ სტანდარტებს და წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

ორგანიზაციამ შეიმუშავა ენერგეტიკის სექტორში მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებულია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი III“. აღნიშნული ნაწილი განსაზღვრავს ორგანიზაციის ხედვას, პრიორიტეტებს, გამოწვევებსა და გადაწყვეტებს, როგორც საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი სუბიექტის. სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

ორგანიზაციამ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის (ESG) სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებულია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი IV“. იგი მოიცავს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით დონისძიებებს, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისკენ.

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურა. განისაზღვრა სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები, შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების ეფექტიანი იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, აგრეთვე ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული საკითხები მოცემულია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი IV“.

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და ანგარიშვალდებულება დეტალურადაა განსაზღვრული ორგანიზაციის წესდებაში. აუდიტის კომიტეტის დებულება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მოიცავს კომიტეტის საქმიანობის სფეროებსა და პროცედურებს, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ანგარიშგების წესს.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (ოქმი №2), რომლითაც დამტკიცდა შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა:

- მმართველი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებაზე, პრობლემური საკითხების შესახებ მიმართონ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დაეკისროს ორგანიზაციის დირექტორს;
- ორგანიზაციის წესდების, ეთიკის კოდექსისა და კომიტეტების დებულებების პერიოდული განახლების ვალდებულებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კორპორაციული მართვის სისტემის შესაბამისობა კორპორაციული მართვის კოდექსთან.

სამეთვალყურეო საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება დაევა ორგანიზაციის დირექტორს. ამის საფუძველზე, 2026 წლის 21 აპრილს სამეთვალყურეო საბჭომ (ოქმი №3) დაამტკიცა მდგრადი განვითარების განახლებული სტრატეგია, შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს განახლებული რედაქცია და კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.

### შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოდგენილია შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს „კარი II“. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი „ქცევისა და ეთიკის კოდექსის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ადგენს ქცევის მაღალ სტანდარტებს და წარმოადგენს თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

ეთიკის კოდექსი არეგულირებს თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოების წევრების ქცევის ძირითად პრინციპებს, აგრეთვე კორუფციის, ფულის გათეთრებისა და სხვა უკანონო ქმედებების პრევენციის მექანიზმებს. იგი ეფუძნება კეთილსინდისიერების, ორგანიზაციის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების, შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მექანიზმებს ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვით (მათ შორის „ეფექტიანი ანონიმური მხილების სისტემის“ მეშვეობით), სისტემის გამჭვირვალობასა და დროული რეაგირების მექანიზმებს.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში შეიქმნა იურიდიული დეპარტამენტი, რომლის მიზანია ორგანიზაციის შიდა კორპორაციული სისტემის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს ენერგეტიკის სექტორში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობს ეთიკის კოდექსის განვითარებასა და მის სათანადო განხორციელებას საწარმოში.

### შესაბამისობის ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ პარტნიორთა კრების 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო და დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B22134264, მომზადებულია 26/10/2022).

შემდგომში, 2024 წლის 27 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რეგისტრაციის №B24166902, მომზადებულია 31/12/2024). წესდების ახალმა რედაქციამ დააზუსტა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

წესდების მე-6 მუხლის თანახმად:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან, კომპანიის საქმეები წარმართონ კეთილსინდისიერად, იმგვარი ზრუნვით, როგორსაც მსგავს პოზიციასა და გარემოებებში მყოფი გონივრული და წინდახედული პირი გამოიჩენდა, და იმ რწმენით, რომ მათი ქმედებები შეესაბამება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს.
- პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეკრძალებათ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის პირადი სარგებლისთვის გამოყენება, თუ აღნიშნული ინფორმაცია მათთვის ცნობილი გახდა მოვალეობების შესრულების ან ოფიციალური სტატუსის საფუძველზე.

წესდების მე-7 მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია:

- რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების დამტკიცება და ზედამხედველობა;
- ინფორმაციის გამჭვირვების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ორგანიზაციის ბიზნესპოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- ფინანსური დაგეგმვისა და ანგარიშგების ზოგადი სტანდარტების დამტკიცება;
- კომპანიის საბუღალტრო საქმიანობის განხილვა;
- ფინანსური დოკუმენტაციისა და აქტივების, მათ შორის ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების, ზედამხედველობა და შემოწმება საბჭოს ცალკეული წევრების ან დანიშნული ექსპერტების მეშვეობით;
- საერთო კრებისთვის წლიურ ბიუჯეტსა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა;
- კომპანიის ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;
- სასესიო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; ემისიის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება
- აუდიტის კომიტეტის შექმნა ან გაუქმება, მისი წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა ან გათავისუფლება, კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, დავალების მინიჭება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა

წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია ორგანიზაციის „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი V –ში“. წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებთან ერთად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან:

- საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრაზე, მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებაზე, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობა;
- ეთიკური პრინციპების განსაზღვრაზე;
- ორგანიზაციის მართვის სისტემის „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უწყვეტ მონიტორინგზე;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე;
- ანაზღაურების სისტემის სათანადო ფუნქციონირების მონიტორინგზე.

აღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, სხდომები გამართოს არანაკლებ კვარტალში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — უფრო ხშირად. აღნიშნული ცვლილება ასახულია წესდების განახლებულ რედაქციაში, „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

#### სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება

ამჟამად ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია ფართო მმართველობითი გამოცდილების, შესაბამისი კვალიფიკაციისა და საწარმოს ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების მქონე პირებით.

„კორპორაციული მართვის კოდექსის“ თანახმად, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვეღარ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს ან აღარ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის მოითხოვოს საბჭოს წევრის ჩანაცვლება, იმ პირობით, რომ ერთდროულად არ შეიცვლება საბჭოს წევრთა ერთ მესამედზე მეტი, და აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს. აღნიშნული მოთხოვნა ასახულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ V თავში და ორგანიზაციის წესდებაში, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი (6) წევრისაგან. მათგან ორი დამოუკიდებელი წევრია, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, მაღალი კვალიფიკაცია და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძლიერი უნარები. დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობის ზრდასა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებული ცვლილებები ასახულია ორგანიზაციის წესდებაში „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

„კორპორაციული მართვის კოდექსის“ „კარი-V“-ში და ორგანიზაციის წესდება განსაზღვრავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წევრი. აღნიშნული დებულება სრულად შეესაბამება „კორპორაციული მართვის კოდექსს“, რომლის თანახმადაც „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპანიის დირექტორი“.

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ V კარის თანახმად, საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს ისეთი ფორმირება, რომელიც შეინარჩუნებს აზრთა მრავალფეროვნების ბალანსს. ეს მოიცავს სხვადასხვა სქესის, უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე წევრთა წარმომადგენლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს წევრთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო დროის, რესურსების, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების არსებობა. სამეთვალყურეო საბჭოში გენდერული ბალანსის მოთხოვნების დაკმაყოფილება დაგეგმილია მომავალში. საბჭოს წევრთა შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი VI“-ში“

ორგანიზაციის წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის წევრებს შორის ნდობის, კოლეგიალური ურთიერთობებისა და ეფექტიანი თანამშრომლობის კოორდინაციაზე.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №2 ოქმით, ახლად დაკომპლექტებულმა სამეთვალყურეო საბჭომ საკუთარი წევრებიდან აირჩია თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოავლენს რეალურ ან პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს, ასეთი ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია და აღმოფხვრა თავმჯდომარის მოადგილის პასუხისმგებლობა ხდება.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ამისა, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ინვესტირებთან დაკავშირებული თავმჯდომარის საბოლოო გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებზე, ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაძლოა საჭიროებდეს დამოუკიდებელი წევრის თანხმობას. აღნიშნული დებულება ასახულია ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში და „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ „კარი V-ში“, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ „კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიხედვით

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“ „კარი VII“ განსაზღვრავს ორგანიზაციაში საჭიროებისამებრ კომიტეტების შექმნის ჩარჩოს. შიდა კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფუნქციის მქონე კომიტეტები, მათ შორის — რისკების მართვის, ანაზღაურების, მდგრადი განვითარების და სხვა კომიტეტები.

„შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო“ განსაზღვრავს კომიტეტების შექმნის პროცედურას. კომიტეტის შექმნის ინიცირება ხორციელდება დირექტორის მიერ და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭომ პერიოდულად უნდა უზრუნველყოს კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების როტაცია, რათა ხელი შეეწყოს კომიტეტების საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების დანერგვას.

კომიტეტების მიერ გამართული განხილვებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ უნდა იწარმოებოდეს ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში — კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები ვალდებული არიან რეგულარულად წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია თავიანთი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

კომიტეტები უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, ხოლო საწარმოს ზომიდან გამომდინარე — შესაძლებელია ორი წევრისაგანაც. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი. კომიტეტების სხდომები უნდა უსწრებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომიტეტები ვალდებული არიან შეიკრიბონ წელიწადში სულ მცირე ორჯერ და საჭიროებისამებრ.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება კომიტეტების შექმნის, კომიტეტების დებულებების დამტკიცების, ერთდროული წევრობის მაქსიმუმ ორ კომიტეტამდე შეზღუდვისა და კომიტეტების წევრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ ასახულია ორგანიზაციის წესდებაში, „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო, სხვა ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს:

- რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცებასა და ზედამხედველობას;
- ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრას;
- ორგანიზაციის ბიზნესპოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრას;
- ფინანსური დაგეგმვისა და ანგარიშგების ზოგადი სტანდარტების დამტკიცებას.
- სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტს შორის უზრუნველყოფილია ეფექტიანი კომუნიკაცია და კოორდინაცია, მათ შორის ინფორმაციის გაცვლა, ყველა სახის რისკის — მათ შორის ახლად იდენტიფიცირებული რისკების — განხილვა და საწარმოს რისკების მართვის ჩარჩოში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

სამეთვალყურეო საბჭოს სრული წვდომა აქვს დირექტორთა საბჭოსთან, რისკების მართვისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, აგრეთვე სხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

სამეთვალყურეო საბჭო მხარს უჭერს ორგანიზაციის ანაზღაურების სისტემის ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურების ჩარჩო შესაბამებოდეს ორგანიზაციის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესმიზნებს, რისკების მართვის სისტემას, ოპერაციულ საქმიანობას, კონტროლის გარემოსა და სამართლებრივ/მარეგულირებელ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი, რაც გათვალისწინებული იქნება საბჭოს ახალი წევრების თითოეული მომავალი შერჩევის პროცესში.

ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭო აფასებს:

- საბჭოს სტრუქტურას, ზომასა და შემადგენლობას;
- აუდიტის კომიტეტის სტრუქტურასა და კოორდინაციას;
- თითოეული წევრის შესაბამისობას სამართლებრივ და შიდა მოთხოვნებთან;
- შიდა მართვის პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტიანობას.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

რისკების კომიტეტის, ანაზღაურების კომიტეტის, კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტის ფუნქციები, მათი შექმნის შემთხვევაში, განსაზღვრულია „შიდა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს“ VII კარის ქვეთავებში.

### კორპორაციული მართვის კოდექსით აუდიტის კომიტეტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში

სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N1) შეიქმნა აუდიტის კომიტეტი. მისი შემადგენლობა გადაიხედა სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N2). აუდიტის კომიტეტის შექმნის ვალდებულება განისაზღვრა ორგანიზაციის წესდებაში.

ორგანიზაციის წესდება ადგენს აუდიტის კომიტეტის ძირითად ფუნქციებს, რომელთა მიხედვით აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია:

- განსაზღვროს შიდა სააღრიცხვო, ფინანსური ანგარიშგებისა და კონტროლის პროცედურები და ზედამხედველობა გაუწიოს მათთან შესაბამისობას;
- მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სანდოობას;
- უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა;
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა (სადაც გამოიყენება);
- მართოს ურთიერთობები გარე აუდიტორებთან.

წესდების ახალი რედაქციის თანახმად, საწარმოს ზომის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან. მისი თავმჯდომარე არის შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე და კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი დამოუკიდებელი წევრი.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსს. წესდების ახალი რედაქციის მე-9.10 მუხლის თანახმად, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და ერთდროულად არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. აღნიშნული ცვლილება შევიდა ორგანიზაციის წესდებაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

წესდებაში მითითებული დებულებების გარდა, აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები დეტალურადაა გაწერილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ მის დებულებაში. აღნიშნული დებულება სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-9 მუხლს. დებულების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი, სხვა მოვალეობებთან ერთად, პასუხისმგებელია:

- ა) შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრაზე;
- ბ) ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების პროცესების მონიტორინგზე;
- გ) შიდა და გარე აუდიტორებთან მონიტორინგზე და მათთან აქტიურ თანამშრომლობაზე;
- დ) გარე აუდიტორის ეფექტიანობის შეფასებაზე, აუდიტორის კანდიდატებთან დაკავშირებით მოსაზრების გამოხატვაზე და სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს რეკომენდაციების მიწოდებაზე დანიშვნის, ანაზღაურების ან გათავისუფლების შესახებ;
- ე) შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შეფასებაზე;
- ვ) შიდა და გარე აუდიტორებს შორის ადეკვატურობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე;
- ზ) გარე აუდიტორის მიერ მომზადებული რეკომენდაციური წერილების გადახედვაზე და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული მაკორექტირებელი ზომების მონიტორინგზე;
- თ) შიდა აუდიტის მოცულობისა და სიხშირის გადახედვასა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენაზე;
- ი) შიდა აუდიტის ანგარიშების მიღებაზე და ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილ სისუსტეებთან, შეუსაბამობებთან ან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით დროული მაკორექტირებელი ქმედებების უზრუნველყოფაზე;
- კ) სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავების მონიტორინგზე;
- ლ) საწარმოს რისკის მართვის საერთო ჩარჩოს და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობისა და სტრუქტურის გადახედვაზე, მათ შორის მესამე მხარის შეფასებებზე ამ საკითხებთან დაკავშირებით.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

#### **კორპორაციული მართვის კოდექსით სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა. სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილდა პასუხისმგებლობები, დადგინდა შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკის ეფექტიანი იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, აგრეთვე ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული წარმოადგენს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „IV კარის“ შემადგენელ ნაწილს.

იმავე ნაწილში მოცემულია „შეფასებისა და თვითშეფასების პროცედურა“. ამ პროცედურის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად აფასებს:

- საბჭოს სტრუქტურას, ზომას და შემადგენლობას;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურასა და კოორდინაციას;
- საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან;
- საბჭოს შიდა მართვის პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტიანობას.

#### **კორპორაციული მართვის კოდექსით დირექტორთა საბჭოს და დირექტორთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო არის დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ორგანიზაციას.

სხვა ფუნქციებთან ერთად, დირექტორი ახორციელებს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიებს და, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, შექმნა ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების და რისკის კულტურის მართვის ეფექტიანი სისტემები. დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის მისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხელმძღვანელობის საქმიანობის ეფექტიანი შეფასებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ინფორმირებულია კომპანიის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხებისა და გამოწვევების შესახებ.

დირექტორი ასევე პასუხისმგებელია თანამშრომელთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სათანადო გადანაწილებაზე და კომპანიის ფარგლებში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი ეფექტიანი მართვის სტრუქტურის შექმნაზე.

დირექტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საწარმოს წესდებით. დირექტორი ფლობს საჭირო გამოცდილებას, კომპეტენციას, რესურსებს, კვალიფიკაციასა და უნარებს. დირექტორის მიმართ გამოყენებადი საკვალიფიკაციო და პროფესიული გამოცდილების მოთხოვნები განსაზღვრულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს VIII კარში.

დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის შიდა საქმიანობაზე. წესდების ახალი რედაქცია ასახავს, რომ დირექტორი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა დირექტორის მიერ უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. აღნიშნული ცვლილებები შევიდა წესდებაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

#### **კორპორაციული მართვის კოდექსით სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების ფუნქციების შესახებ შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შეუძლიათ მიიღონ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, თავისუფლები გარე მხარეების ფაქტობრივი ან პოტენციური გავლენისგან.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები აღწერილია კორპორაციული მართვის კოდექსის IX კარში.

### კორპორაციული მართვის კოდექსით კორპორაციული მდივნის ფუნქციების შესახებ შესაბამისობის ანგარიში

კორპორაციული მდივნის ფუნქციები დეტალურადაა აღწერილი კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი X“-ში, რომელიც სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

ეს ნაწილი ასევე ადგენს, რომ კორპორაციული მდივნის ფუნქციებს ამჟამად ასრულებს ორგანიზაციის იურისტი, კერძოდ:

- a) საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის კომიტეტების) და დირექტორთა საბჭოს დახმარება მათი საქმიანობის განხორციელებაში;
- b) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს კონსულტირება კორპორაციული დოკუმენტაციისა და პროცედურული საკითხების შესახებ;
- c) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა სხდომის დღის წესრიგის მომზადებასა და გავრცელებაში, სხდომების ორგანიზებასა და ჩატარებაში, შეტყობინებების მიმოქცევაში;
- d) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მოქმედი და ახლადდანიშნული / არჩეული წევრებისთვის საჭირო ტრენინგებისა და საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა;
- e) ყველა კორპორაციული დოკუმენტის, ოქმის და სხვა საჭირო ჩანაწერისა და ინფორმაციის სულ მცირე ექვსი წლის განმავლობაში წარმოება და შენახვა;
- f) კავშირის რგოლის ფუნქციის შესრულება პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;
- g) პარტნიორთა საერთო კრების ორგანიზება, რიგგარეშე კრებების მოწვევა და ყველა საჭირო ვადისა და პროცედურის დაცვის უზრუნველყოფა. იმის უზრუნველყოფა, რომ კრების ოფიციალურად მომწვევა პირმა მიიღოს სრული ინფორმაცია დღის წესრიგში შესატანად შემოთავაზებული საკითხების შესახებ კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად;
- h) მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციული მართვის შესახებ საკანონმდებლო აქტებთან და საწარმოს კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- i) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებისა და პარტნიორთა საერთო კრებების მდივნის ფუნქციის შესრულება და მათი ოქმების წარმოება.

კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. ამ ფუნქციების შესრულებისას კორპორაციული მდივანი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება, დანიშნოს კორპორაციული მდივანი და განსაზღვროს მისი შრომითი ხელშეკრულების პირობები აისახება წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სამეთვალყურეო საბჭომ დეტალურად განსაზღვრა კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირისთვის საჭირო უფლება-მოვალეობები, ფუნქციები, განათლების მოთხოვნები და კვალიფიკაცია (კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო – კარი X ).

კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი არ არის ორგანიზაციის მმართველი ორგანოს წევრი და არ ფლობს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

### კორპორაციული მართვის კოდექსით ჯგუფის კორპორაციული მართვის შესახებ შესაბამისობის ანგარიში

ორგანიზაციამ დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუფი“, რომელშიც ფლობს 55% წილს.

## **ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

### **მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები მიიღება მონაწილეთა ხმების 55%-იანი უმრავლესობით, თუ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოითხოვს უფრო მაღალ ქვორუმს ან ერთსულოვნებას.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი XI“ არეგულირებს შვილობილი კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმებს და სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნებს.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით რისკის მართვის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობის დამტკიცება და ზედამხედველობა შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში. რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც აღწერს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებს, განსაზღვრულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „XII კარი – რისკის მართვის ჩარჩო“.

რისკის მართვის ჩარჩო ასევე დამტკიცებულია ორგანიზაციის შვილობილ კომპანიაში. აღნიშნული ჩარჩოს თანახმად, რისკის შეფასებები და რისკის მართვის პროცესები, შერწყმები და შენაძენები, მნიშვნელოვანი წილების შექმნასთან დაკავშირებული გარიგებები და სხვა არსებითი ცვლილებები წარედგინება მშობელი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს.

შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო სრულად ინფორმირებულია არსებული რისკებისა და საკითხების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ორგანიზაციაზე და/ან მის შვილობილ კომპანიაზე.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად, დირექტორთან და შიდა აუდიტის ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს მნიშვნელოვანი რისკების, საკითხებისა და საოპერაციო საჭიროებების იდენტიფიკაციისა და განხილვის მიზნით.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით შიდა კონტროლისა და აუდიტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

აუდიტის კომიტეტის შექმნა/გაუქმება, აუდიტის კომიტეტის წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა/გათავისუფლება, კომიტეტის ზომის განსაზღვრა, კომიტეტისთვის ამოცანების მინიჭება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

შიდა კონტროლისა და აუდიტის სისტემა აღწერილია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს „კარი XII – ში“.

რისკის ეფექტიანი მართვის მიზნით, კომპანიის ფარგლებში დანერგილია მყარი შიდა კონტროლის სისტემები. შესაბამისად:

- შიდა აუდიტს მინიჭებული აქვს სრული წვდომა საწარმოს ინფორმაციაზე, ჩანაწერებზე, ოქმებზე და სხვა მონაცემებზე;
- დირექტორი პასუხისმგებელია აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვასა და განხორციელებაზე.

### **კორპორაციული მართვის კოდექსით ანაზღაურების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიში**

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, მმართველი ორგანოების ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცება საერთო კრების პასუხისმგებლობაა. აღნიშნული ცვლილება შევიდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციას აქვს დოკუმენტირებული ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს:

- საქმიანობის შესაბამის ინდიკატორებს;
- ანაზღაურების ფორმებსა და კომბინაციებს, მათ შორის ფიქსირებულ და ცვალებად კომპენსაციას;
- ბონუს სისტემის ელემენტებს;
- გადახდის გრაფიკსა და სიხშირეს.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები წარმოადგენს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV კარის შემადგენელ ნაწილს.

მომზადებულია მმართველი ორგანოს ანაზღაურების ანგარიში. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგზე და სულ მცირე წელიწადში ერთხელ განიხილავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს.

სამეთვალყურეო საბჭო ანაზღაურების კომიტეტთან ერთად (თუ შექმნილია) ამტკიცებს შიდა აუდიტის პერსონალის, კორპორაციული მდივნის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკასა და ანაზღაურების დონეებს და ახორციელებს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემებისა და მათთან დაკავშირებული საკონტროლო პროცესების ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგს.

აღნიშნული ცვლილებები შევიდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციის ანაზღაურების პოლიტიკა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

- ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების კომპონენტები და დადგენილი მაქსიმალური ლიმიტები;
- მმართველი ორგანოების წევრთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები;
- ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტიანობას შორის ურთიერთკავშირი;
- სხვა არაფულადი კომპენსაცია.

გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემულმა ანაზღაურებამ შეადგინა 43,122 ლარი დღგ-ს გარეშე.

კომპანიის მმართველობითი ორგანოს ანაზღაურებამ მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგინა 133,992 ლარი.

### კორპორაციული მართვის კოდექსით დაინტერესებულ მხარეთა უფლებების შესახებ შესაბამისობის ანგარიში

აქციონერთა/პარტნიორთა/დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმები დეტალურადაა აღწერილი კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის „კარი XIII“-ში.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანაბარ პირობებში მყოფი ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის თანასწორ მოპყრობას. ფასიანი ქაღალდების პირობებისა და მათში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მქლავდება ემიტენტებზე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მმართველი ორგანოების წევრებსა და ორგანიზაციის ყველა თანამშრომელზე მოქმედ ყველა ვალდებულებას. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსი მომზადებულია კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად.

კოდექსი მოიცავს ყველა შესაბამის დებულებას, რომელიც შემდგომში უნდა აისახოს ორგანიზაციის კორპორაციულ დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება, რათა პარტნიორებს შესაძლებლობა ჰქონდეთ წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები და მოსაზრებები.

## ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

### მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)

---

კომპანიის პარტნიორს შეუძლია, მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორისგან და გამოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთო კრების მეშვეობით, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი უზრუნველყოფენ პარტნიორებთან ეფექტიან და სამართლიან ურთიერთობებს და წაახალისებენ პარტნიორთა აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების საქმიანობაში.

წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად საერთო კრებას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და კრების ოქმი ქვეყნდება ორგანიზაციის მიერ.

კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV კარი ადგენს ორგანიზაციის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გამჭვირვების პოლიტიკას. კომპანიის ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს გამჭვირვალობის მექანიზმს, პერიოდულად ექვემდებარება ტექნიკურ მხარდაჭერასა და განახლებებს. დაინტერესებულ მხარეებს გააჩნიათ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა ინფორმაციაზე. ვებ-გვერდში მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად აცნობონ საწარმოს ფარგლებში არსებული უკანონო ან არაეთიკური პრაქტიკის შესახებ შემფოთების შესახებ.

2026 წლის 15 მაისი

გენერალური დირექტორი  
გიორგი შუკაკიძე.

**ჯგუფი „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“**

**მმართველობითი ანგარიშგება (გაგრძელება)**

---


პასუხისმგებლობის განცხადება


მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი ცოდნის მიხედვით:

- ჯგუფის (კომპანია მის შვილობილ კომპანიასთან ერთად) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად და იძლევა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება ან ზარალის შესახებ და, მთლიანობაში, კონსოლიდაციაში შემავალ ვალდებულებებს;
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის პოზიციის, ბიზნესის განვითარების, საქმიანობის შედეგის სამართლიან მიმოხილვას, არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების აღწერასთან ერთად;
- მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული, გასაგები და მოიცავს საჭირო ინფორმაციას ჯგუფის პოზიციის, საქმიანობის შედეგის, ბიზნესისა და სტრატეგიის შესაფასებლად, პასუხისმგებლობის განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 15 მაისი

  
\_\_\_\_\_ **მინდია საბანაძე**  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

  
\_\_\_\_\_ **გიორგი შუკაკიძე**  
გენერალური დირექტორი

სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N260633230



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

15.05.2026 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის  
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სოფიკო გობეჯიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი  
3, ბინა N1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 725310

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

95997452796426



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი, 15.05.2026წ.  
მე, **ლელა ხუნაშვილი**, ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილის  
შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს  
მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49 კვარტალი  
I, კორპ. 3, ბინა 1, ვადასტურებ თარგმანის ირინე  
აბულაშვილი-ნიკულსკის (დაბ. 03.01.1978წ. პ/ნ 01005000858,  
რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, აკაკი  
წერეთლის გამზირი, N 10, ბინა 65, ბაკალავრის დიპლომი BH  
N00801, გაცემული 1999წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ,  
სარეგისტრაციო N 01/174) ხელმოწერის სინამდვილეს. მე  
გავაფრთხილე თარგმანი ირინე აბულაშვილი-ნიკულსკი, რომ  
ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც  
დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და  
უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მე, ნოტარიუსის  
შემცვლელი პირი, ვამოწმებ თარგმანის ირინე აბულაშვილი-  
ნიკულსკის ხელმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში  
წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან მის  
წამდვილობას. 56 გვ. 1 egz.

Tbilisi, Georgia 15.05.2026


I, **Lela Khunashvili**, Substitute of Notary **Sofiko Gobejishvili**  
at her Notary Office, located at the address: apt. 1, block 3,  
quarter 1, N49 Vazha-Pshavela Ave. Tbilisi, confirm the  
authenticity of the signature of the translator **Irine  
Abulashvili-Nikulski** (born on 03.01.1978, registered at the  
address: Apt.65, Building 10, Akaki Tsereteli Ave. Tbilisi,  
P/N 01005000858, Bachelor's Diploma BH N00801, issued  
on 1999 by Ivane Javakhishvili State University of Tbilisi,  
registration N 01/174). I have warned the translator **Irine  
Abulashvili-Nikulski** that she is responsible for the accuracy  
of the translation and she has confirmed that she possesses  
the English language properly and provides true and  
accurate translation. I, Substitute of Notary **Sofiko  
Gobejishvili** confirm the authenticity of the signature of the  
translator **Irine Abulashvili-Nikulski** and not the correctness  
of legal facts or validity of the document. 56 p. 1 c.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 112 ლარი  
(სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და  
საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი  
საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და  
მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011 წლის 29  
დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების  
მუხლი 31 პ.4-ის თანახმად), დღგ - 20.16 ლარი, თანახმად  
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და  
რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების  
მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 137.16 ლარი.

Notary fee – 112 GEL according to Resolution #507 of the  
Government of Georgia, Article 31/4 “on applying notary fee” and  
due to the amount established for the Notary Chamber of Georgia  
“rules of payment and terms of service” dated 29.12.2011, VAT –  
20.16 GEL according to the article 166 of the Tax Code of Georgia,  
5 GEL registration fee according to the article 39/1 of the same  
Resolution. Totally paid: 137.16 GEL.

ნოტარიუს ს. გობეჯიშვილის შემცვლელი პირი  
Substitute of Notary S. Gobejishvili

/ლელა ხუნაშვილი/  
/Lela Khunashvili/





საგარეო ურთიერთობების




მინისტრის

საგარეო ურთიერთობების

კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, რომელიც მოიცავს: განაცხადს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ, კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს (1–დან 20 გვერდის ჩათვლით) და დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, არ წარმოადგენს ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების ნაწილს და არ არის შემოწმებული კომპანიის აუდიტორის მიერ.

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 <p>საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia</p>	<p>განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ</p>	
	<p>Application on submitting Corporate Governance Compliance Report</p>	
<p>თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)</p>	<p>1 5 / 0 5 / 2 0 2 6</p>	

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER	
ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას 70
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას 70
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577 080 922
ელ.ფოსტა/E-mail	giorgi@edgeorgia.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://www.edgeorgia.ge/

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES	
<p>განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) / Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):</p>	
ერთვის შევსებული "დანართი N2" კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში – 20 ფურცლად	
ერთვის შევსებული "დანართი N3" - 1 ფურცლად	
ერთვის სხდომის ოქმები – 4 ფურცლად	

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	გიორგი შუკაკიძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577080922
ელ.ფოსტა/E-mail	giorgi@edgeorgia.ge

ხელმოწერა /Signature	
გიორგი შუკაკიძე	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
სამეცხადო საბჭოს თავმჯდომარე – მინდია საბანაძე	 <p>1 5 / 0 5 / 2 0 2 6</p>

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მოთხოვნა წლიური ანგარიშში გამკლავებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
<b>კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო</b>					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის სხდომის იქმნი N2; (2) საწარმოს 2024 წლის 12 დეკემბრის წესდება (ახალი რედაქცია) - მუხლი 7 (პრიმა1) სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები - გვ.6;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა) საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45	საწარმოს წესდება	საწარმომო მოქმედებს 2024 წლის 27 დეკემბრის წესდება (ახალი რედაქცია); დირექტორთა საბჭოს ფუნქციები მოცემულია მუხლოში 7 და 7 (პრიმა) - გვ. 6-8; დირექტორთა საბჭოს ფუნქციები მოცემულია მუხლოში 10-გვ.11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45 - 46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საწარმოს გააჩნია ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 22 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის იქმნი - გვ.1. ასევე ის მიწინააღმდეგე იქნა საერთო კრების 2022 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე - გვ.1; ეთიკის კოდექსი გვ.1
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სთანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45 - 46	გადაწყვეტილებები	2026 წლის 21 აპრილის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის იქმნი N3) მიწინააღმდეგე იქნა კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში დირექტორის მიერ წარმოდგენილი განახლებული „ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერჯეტიკის სფეროში“;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45 - 46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) აღნიშნული პირობა ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში - პუნქტი 6.4, გვ.50; (2) ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერჯეტიკის სფეროში კარი III, გვ.9 (3) ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის სტრატეგია კარი IV, გვ.45;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "ა.ა" ქვეპუნქტი)	ა.ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი - მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.45 - 46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) აღნიშნული პირობა ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში, კარი VI, პუნქტი 6.4, გვ.50; (2) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში - XVI კარში, გვ.68

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ. 46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) აღნიშნული პირობა ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში – კარი VI პუნქტი 6.4, გვ.50;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.45 – 46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) აღნიშნული პირობა ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში – კარი VI პუნქტი 6.4, გვ.50;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.49 - 50	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N2); (2) წესდება – სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები მუხლი 7 და 7 (პრიმა)– გვ.6-8; წესდების მუხლი 9 – სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტი – გვ.8-10 (3) კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, პუნქტი 6.6 გვ. 50
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არაფინანსური სარგებლობის შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.46 და გვ 48	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო კარი VI. პუნქტი 6.2 გვ.50.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) საწარმოს წესდება – 7(პრიმა)3. გვ. 7; (2) ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო კარი VI. პუნქტი 6.2 გვ.50.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელისაწვდომი.	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.46	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N2); (2) სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N3). (3) კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, პუნქტი 6.8, გვ.51
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	კი	ჯგუფის მას "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.48	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	(1) სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N2); (2) საერთო კრების 2022 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება. საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება წესდების ახალი რედაქციით დამტკიცებასთან დაკავშირებით. (3) სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება, სხდომის ოქმი N3. (4) კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო – პუნქტი 6.9, გვ.69

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბირთვად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათვრებისა და სხვა კანონმდებლობით დაკრძალული ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ტრენის ოქმი N2)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.5
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.5
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.3
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრიაიმის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.4 და გვ.6
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქვეყანათან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.7
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.3
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.6
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონო/შეუსაბამო/რაციონალური ფაქტების კონფიდენციალურად ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დადგინდნენ. ანონიმური მხილების სისტემა მათ შორის, უნდა აწესრიგებდეს დაფიქსირებული ფაქტების მოკვლევისა და რეაგირების პროცედურულ საკითხებსაც. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კპ	გვ. 45-47	ეთიკის კოდექსი	გვ.7
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კპ	გვ. 48	ეთიკის კოდექსი	გვ.2 და გვ.7

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.46	ეთიკის კოდექსი	გვ.2
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.47 – 49	საწარმოს წესდება	შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის მიზნით შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2024 წლის 27 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიიღო წესდების ახალი რედაქცია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცეით;	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.47 – 48	საწარმოს წესდება	მუხლი 7 (პრინა) სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, გვ.7
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	ჯგუფის შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2025 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი ანგარიშგება ქართული ვერსია გვ.47 – 48	საწარმოს წესდება	მუხლი 7 (პრინა) სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, გვ.7
